გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№22 (1663) 21 — 27 ივნისი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

მიიღებს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსს

ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი ბელგიის სამეფოში და „ევროპალია“ – 2023

რას შეცვლის ქართულ პოლიტიკაში სააკაშვილის დაბრუნება

ლელა ჯეჯელავა: „ოპოზიციას ვეტყვი, სარკეში ჩაიხედე და ნახე, როგორ გამოიყურები გარედან!“

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

„სამოქალაქო ომი მტკივნეული საკითხია და არ მგონია, აწი ქართველმა ქართველს იარაღი ესროლოს“

რით ხსნის ცოტნე კობერიძე ზურაბ ჯაფარიძეზე თავდასხმას და ვისთან აპირებს საარჩევნოდ გირჩი – მეტი თავისუფლება გაერთიანებას

რა ხიბლი აქვს პრემიერის სავარძელს

საქართველოს მთავრობის მეთაურების ანატომია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფეხბურთის გუნდი საქართველოს ბიზნესის ჩემპიონთა სუპერლიგის გამარჯვებული გახდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საფეხბურთო გუნდმა საქართველოს ბიზნესის ჩემპიონთა სუპერლიგის ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო და გამარჯვება მოიპოვა.

დასკვნით მატჩში ერთმანეთს სამინისტროს საფეხბურთო გუნდი და „კროკობეთი“ დაუპირისპირდნენ.

დაძაბული თამაშის შემდეგ, სამინისტროს თანამშრომლებმა ანგარიშით – 4:3 გამარჯვება მოიპოვეს.

გუნდებს შორის შეხვედრა უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სპორტის ახალ სასახლეში გაიმართა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობის“ ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობის“ ფარგლებში, გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) ერთად, მედიის წარმომადგენლებთან ბავშვთა საკითხების გაშუქების თემაზე სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა ქეთი კოვზიაშვილმა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ფონდის გენდერის ანალიტიკოსმა მარიამ ბანძელაძემ.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისა და საზოგადოებრივი უსაფრხოების მართვის ცენტრ „112“-ის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ისაუბრეს ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით, უწყების მიდგომებსა და აღნიშნული კატეგორიის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებზე. ასევე, დამსწრე აუდიტორიას ინფორმაცია მიეწოდა წლების მანძილზე, სამინისტროს მიერ, პრევენციისა და ბრძოლის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებსა და კამპანიის ეტაპზე დაგეგმილი აქტივობების, „112“-ის აპლიკაციისა და ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესის შესახებ.

ჟურნალისტებს, განხორციელებული საქმიანობისა და სახელმწიფოში არსებული სერვისების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორმა – მერი მაღლაფერიძემ.

შეხვედრას სხვადასხვა მედიასაშუალების 20-ზე მეტი წარმომადგენელი, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა საკითხებზე მომუშავე და მორეაგირე ყველა შესაბამისი დანაყოფის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა, მოწვეულ ექსპერტთან ერთად, განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება; მსხვერპლზე ორიენტირებული კომუნიკაციის სტანდარტები; მედიის როლი გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლაში.

ორდღიანი სამუშაო შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ინიციატივით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჩართულობით და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) პარტნიორობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისთვის“ – ფარგლებში, შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

UNFPA, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, უკვე მეოთხე წელია, ახორციელებს ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ კამპანიას, რომლის მთავარი მიზანია არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი დანაშაულების აღმოფხვრა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ კატეგორიის დანაშაულების შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო სიტუაციების შესახებ მრავალეროვნულ სწავლებას უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა სხვადასხვა ტიპის საგანგებო სიტუაციებზე ორიენტირებულ ერთკვირიან მრავალეროვნულ საველე სწავლებას უმასპინძლა.

წვრთნები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროგრამის – PPRD East 3-ის ფარგლებში განხორციელდა და როგორც საშტაბო, ასევე, საველე კომპონენტებს მოიცავდა. მრავალეროვნული სწავლების ფარგლებში, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას მეხანძრე-მაშველებმა საჩვენებელ წვრთნაში მიიღეს მონაწილეობა.

საჩვენებელ სწავლებას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები – იოსებ ჭელიძე და გიორგი ბუთხუზი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი, უწყების სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები, ასევე, სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მოადგილე, აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მართვის სამინისტროსა და მოლდოვას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დელეგაციები, უკრაინისა და იტალიის წითელი ჯვრის წარმომადგენლობა, გაეროს მუდმივი კოორდინატორი და ევროკავშირის დელეგაციის წევრები. საჩვენებელი სწავლება რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სცენარის მიხედვით განხორციელდა და სხვადასხვა ტიპის სახანძრო-სამაშველო ოპერაციებს მოიცავდა, მათ შორის, მასშტაბური ტყის ხანძრების დროს მოქმედებას, ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების სავარჯიშოებს და ა.შ. საველე წვრთნების დროს, განხილულ იქნა ის პროცედურები, რომელიც მასშტაბური საგანგებო სიტუაციების დროს მასპინძელი ქვეყნის მხრიდან ტარდება პარტნიორი ქვეყნების დახმარების მოზიდვის შემთხვევაში. ასევე, შემოწმდა ფართომასშტაბიანი კატასტროფების დროს შესაბამისი უწყებების კოორდინირებული მოქმედებები. სწავლებაში ჩართული იყო საპატრულო პოლიცია, სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა და ტექნიკა, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ექიმები, ეროვნული გვარდია, ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს ეროვნული სააგენტო. გარდა ამისა, სწავლებაში მონაწილეობდა ევროკავშირის დელეგაცია, CBRN ეროვნულ ცენტრი და იტალიის წითელი ჯვარი.

საველე წვრთნებში 400-ზე მეტი საგანგებო სიტუაციებზე მორეაგირე ჯგუფის წევრი მონაწილეობდა – საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და მოლდოვიდან. სწავლებაში ჩართული იყო უკრაინის, იტალიის, შვედეთის და ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის გუნდები. PPRD ევროკავშირის ტექნიკური ექსპერტული დახმარების პროექტს წარმოადგენს, რომლის მთავარი მიზანია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე რეაგირებისა და მზადყოფნის დონის ამაღლება. PPRD პროექტში საქართველოსთან ერთად, მთავარი ბენეფიციარი ქვეყნები უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი და სომხეთი არიან.

რა ხიბლი აქვს პრემიერის სავარძელს

ნათია დოლიძე

ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას აანონსებს, თან ვრცელდება ვერსია, რომ ის ენმ-ს პრემიერობის კანდიდატი იქნება. გახდება თუ არა მიშა პრემიერი, ამაზე მარჩიელობა არ ღირს, თუმცა „ვერსია" არქივიდან პრემიერების ერთგვარ ანატომიას გთავაზობთ...

საქართველოს მთავრობის მეთაურების ანატომია

ზოგადად, ჩვენი ქვეყანაში სახელმწიფო უმაღლესი თანამდებობის პირები, კერძოდ, პრემიერ-მინისტრები ისე ხშირად იცვლებიან, რომ თუ ადამიანს დაკვირვებული თვალი არ აქვს, როგორც იტყვიან, სათვალავი აერევა და ხეირიანად ვერც გაიხსენებს, ვინ რამდენი ხნის განმავლობაში იკავებდა მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას. არადა, ჩვენებურ პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს ლამის საუკონოვანი ბეგრაუნდი აქვს. ეს თანამდებობა პირველად 1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე დაწესდა და მაშინ სუბიექტს, რომელიც ამ თანამდებობას იკავებდა, მთავრობის თავმჯდომარე ეწოდებოდა.

„ამ პოსტზე მოღვაწეობდნენ ნოე რამიშვილი და ნოე ჟორდანია. თანამდებობა გაუქმდა სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოს შესვლის გამო. პრემიერ-მინისტრის თანამდებობა 1991 წლის აგვისტოში აღდგა და 1992 წლის თებერვლამდე, სამხედრო საბჭოს მიერ ძალაუფლების ხელში აღებამდე მოქმედებდა.

1995 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუციით, საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა და, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა გაუქმდა. ახალშემოღებული სახელმწიფო მინისტრის პოსტი კი არც ფორმით და არც შინაარსობრივად არ იყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობის მსგავსი.

2004 წლის 6 თებერვალს განხორციელებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა საქართველოში შემოიღო მთავრობის ინსტიტუტი, შესაბამისად, ხელახლა გაჩნდა მთავრობის თავმჯდომარის პოსტი და მას კვლავ პრემიერ-მინისტრი ეწოდა.

მოქმედი კანონმდებლობით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს პარლამენტის შემადგენლობის გათვალისწინებით წამოაყენებს პრეზიდენტი, პარლამენტი კი მას ნდობას უცხადებს. პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის დანარჩენ წევრებს (მინისტრებს)", – ნათქვამია ქართულ „ვიკიპედიაში".

როგორც აღვნიშნეთ, პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი ნოე რამიშვილი იყო, რომელსაც ეს პოსტი 1918 წლის 26 მაისიდან 24 ივლისამდე ეკავა. 24 ივლისს კი პრემიერობა ნოე ჟორდანიას გადაულოცა. ჟორდანია საქართველოს მთავრობას 1921 წლის 25 თებერვლამდე ლიდერობდა.

„გაწითლებულ" საქართველოში ცნება – „პრემიერ-მინისტრი" ქრება და მას „სახალხო კომისარიის საბჭოს თავმჯდომარე" ანაცვლებს. საქართველოს სსრ-ს სახალხო კომისარიის საბჭოს პირველი ხელმძღვანელი პოლიკარპე მდივანია; ერთი წლის შემდეგ როტაცია ხორციელდება და ამ თანამდებას ჯერ სერგო ქავთარაძე იკავებს, შემდეგ – შალვა ელიავა.

სხვადასხვა დროს, ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ ლავრენტი ქართველიშვილი; ფილიპე მახარაძე; ლევან სუხიშვილი; გერმანე მგალობლიშვილი და ვალერი ბაქარაძე.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ, კერძოდ, 1946 წლის 27 მარტს სახალხო კომისარიის საბჭოს სახელი ეცვლება და მინისტრთა საბჭო ხდება, რომლის პირველი თავმჯდომარეც ვალერი ბაქრაძეა.

საქართველოს სსრ-ს მინსტრთა საბჭოს სულ 11 თავმჯდომარე ჰყავდა, მათ შორის – ზაქარია ჩხუბიანიშვილი; ზაქარია კეცხოველი; ვალერი ბაქარაძე; გივი ჯავახიშვილი; ზურაბ პატარიძე; დიმიტრი ქართველიშვილი; ოთარ ჩერქეზია; ზურაბ ჩხეიძე; ნოდარ ჭითანავა; თენგიზ სიგუა...

1991 წლის 18 აგვისტოდან საქართველოში კვლავ შემოდის პრემიერ-მინისტრის ცნება და ამ თანამდებობაზე ზვიად გამსახურდია მურმან ომანაძეს ნიშნავს, თუმცა რამდენიმე დღეში ომანაძეს ბესარიონ გუგუშვილი ცვლის, რომელსაც ეს თანამდებობა 1992 წლის 6 იანვრამდე უკავია.

მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ამბოხებულები ეროვნულ ხელისუფლებას დაამხობენ და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სამშობლოს დატოვებს, პრმიერად თენგიზ სიგუა გვევლინება, რომელსაც ეს უმაღლესი თანამდებობა 1993 წლის 5 აგვისტომდე უკავია. 5 აგვისტოდან კი პრემიერის მოვალეობას, ზუსტად 15 დღის განმავლობაში, ედუარდ შევარდნაძე ასრულებს.

1993 წლის 20 აგვისტოს მინისტრთა „უსტაბაში" ჯერ ოთარ ფაცაცია ხდება, შემდეგ – ბაკურ გულუა. სხვათა შორის, ოთარ ფაცაცია, სხვა პრემიერების მსგავსად, სკანდალში რამდენჯერმე გაეხვევა. ყველაზე უხერხული სიტუაცია კი მაშინ შეიქმნება, როცა თურქეთში ვიზიტად მყოფი ფაცაცია, ოფიციალურ მიღებაზე, მომიტევეთ და, ცხვირში თითს შეიყოფს...

1995 წლის დეკემბრის პირველ დეკადაში პრემიერის პოსტი უქმდება და ახალი თანამდებობა – სახელმწიფო მინისტრი იქმნება. ახალი სამთავრობო სავარძლის პირველი მფლობელი ნიკო ლეკიშვილია. შემდეგ, როტაციის გზით, მას ვაჟა ლორთქიფანიძე ცვლის; ვაჟა ლორთქიფანიძის „ზამენად" ჯერ გია არსენიშვილი გვევლინება, შემდეგ – ავთანდილ ჯორბენაძე.

„ვარდების რევოლუცია" სწორედ ჯორბენაძის სახელმწიფო მინისტრობის დროს ხდება. აქვე, შეგახსენებთ იმთავ ითვე მოარულ ხმას, რომ ჯორბენაძე თითქოს მიხეილ სააკაშვილთან ანუ რევოლუციონერებთან თანამშრომლობდა და სწორედ მისი ხელშეწყობით მოხდა შევარდნაძის მთავრობის ვარდებით დამხობა.

„ვარდოსნები" სახელმწიფი მინისტრს კვლავ პრემიერ-მინისტრს არქმევენ და 2003 წლის 27 ნოემბერს ე.წ. ახალი საქართველოს პირველი პრემიერი ზურაბ ჟვანია ხდება, რომელსაც აღნიშნული თანამდებობა სიცოცხლის ბოლომდე, ესე იგი, 2005 წლის 3 თებერვლამდე უკავია.

ჟვანიას გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ, რამდენიმე კვირის განმავლობაში, პრემიერობას პრეზიდენტი სააკაშვილი ითავსებს. 2005 წლის 17 თებერვალს კი ამ პოსტის „მესაკუთრე" ზურაბ ნოღაიდელი ხდება.

საერთოდ, პრემიერების მაქსიმალური „პატალოკი" ორი წელია. ამ „ტრადიციას" ნოღაიდელიც არ არღვევს და 2007 წლის 22 ნოემბერს თანამდებობას ლადო გურგენიძეს უთმობს, თუმცა შუალედში, რამდენიმე დღით, პრემიერ-მინისტრობას გია ბარამიძეც „აგემოვნებს.

2008 წლის 1 ნოემბერს პრემიერის პოსტს უპარტიო გრიგოლ მგალობლიშვილი იკავებს. ერთი წლის შემდეგ კი – ასევე, უპარტიო ნიკოლოზ გილაური, რომელიც მთავრობას 2012 წლის 30 ივნისამდე მეთაურობს. 30 ივნისს კი ამ თანამდებობაზე ვანო მერაბიშვილი ინიშნება.

ეს უკვე ის დროა, როცა „ქართული ოცნება" პოლიტიკურ ავანსცენაზეა გამოსული. პარალელურად, კულუარებიდან ჟონავს ინფორმაცია, რომ „ნაცებში" დიდი განხეთქილებაა და ე.წ. ახალიაების ფრთა მერაბიშვილის მოცილებას ცდილობს.

პრემიერობა შესაძლოა, შს მინისტრობაზე მაღალი თანამდებობაა, მაგრამ მერაბიშვილი, მოგეხსენებათ, ძალოვან უწყებას „ცეცხლითა და მახვილით" მართავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას განუზომელი უფლებები ჰქონდა. შესაბამისად, შსს-დან მთავრობის კანცელარიაში გადაყვანა „ჩამოლაბორანტებას" ნიშნავს, მით უმეტეს, რომ შსს ბაჩო ახალიას ხელში გადადის.

2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნება" იმარჯვებს და არავის უკვირს, რომ მთავრობის მეთაური ბიძინა ივანიშვილი ხდება, თუმცა მეცენატი ერთი წლის შემდეგ აღნიშნულ პოსტს მოულოდნელად ტოვებს და შემცვლელად ირაკლი ღარბაშვილს ასახელებს.

ღარიბაშვილის პრემიერობაც, სხვების მსგავსად, ორ წელს გრძელდება. 2015 წლის დეკემბერში მას გიორგი კვირიკაშვილი ცვლის. შემდეგ პრემიერის პოსტს 35 წლის მამუკა ბახტაძე იღებს. ამის მერე პრემიერი გიორგი გახარია ხდება, რომელსაც ისევ ირაკლი ღარიბაშვილი ცვლის.

რა ხიბლი აქვს პრემიერობას? – ეს რიტორიკული კითხვაა, თუმცა ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში, რომელიც 2013 წლით თარიღდება, ვკითხულობთ:

„...ამ პოსტმა განსაკუთრებული ყურადღება გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მიიქცია და ისიც იმის გამო, რომ პოსტზე მყოფმა პერსონამ სკანდალური განცხადება გააკეთა. „სოვმინის" თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მაღალი საბჭოთა ტრიბუნიდან საკმაოდ ემოციური სიტყვა წარმოთქვა, მნიშვნელოვანი აკორდები აკრიფა პატრიოტულ-ემოციურ ნოტებზე, საბჭოური წესისა და რიგის მიხედვით კომუნისტ ბელადებსაც მოეფერა და დამსწრე საზოგადოებას განუცხადა, ვერ შემირგეთ ეს სწავლული მეცნიერი, განათლებული ადამიანი? მაშინ მე ჩემი სამეგრელო დამიდგება მხარშიო.

ბატონი ნოდარი მართლაც იყო ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალი საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებაში, მაგრამ ეს იყო ისეთი პოლიტიკური შეცდომა, რომელიც არც პოლიტიკური და არც პატრიოტულ-ემოციური განწყობებით არ უნდა დაუშვას არც ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა.

ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრად ნაკურთხმა თენგიზ სიგუამ რა როლი ითამაშა საქართველოსთვის, ამის შეფასებას დიდი დრო დასჭირდება, თუმცა მან საკმაოდ უმადურად დაასრულა საკუთარი მოღვაწეობა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ სიგუაც ინტელექტუალი, მეცნიერი კაცია და შედეგის მიხედვით ვერც მან შეძლო პოლიტიკოსობამდე ასულიყო.

ბესარიონ გუგუშვილი დღესაც ემიგრაციაში იმყოფება და ამ პერსონისადმიც ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ორმაგი დამოკიდებულება აქვს. ეს განცდა მოღალატე-პატრიოტს შორის გადებულ ბეწვის ხიდზე დარბის. გუგუშვილისთვის პიროვნულ ტრაგედიად ისიც კმარა, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სწორედ მის გვერდით მოიკლა თავი. არ დაგვავიწყდეს, რომ არც ბატონ ბესარიონს აკლია სამეცნიერო ხარისხები, თუმცა პრემიერობის შემდეგ განვლილი ცხოვრებიდან და მისადმი მადლიერი თუ უმადური დამოკიდებულების გამო, ნამდვილად შეუძლია მიიწეროს თუ გაიმეოროს გურამიშვილისეული „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია"...

ალბათ, გახსოვთ შევარდნაძისდროინდელი მმართველობა და პრემიერის პოსტის გაუქმება, თუმცა სახელმწიფო მინისტრები (ვაჟა ლორთქიფანიძე, ნიკო ლეკიშვილი, ავთანდილ ჯორბენაძე, გია არსენიშვილი) რეალურად პრემიერ-მინისტრები იყვნენ საკუთარი გავლენებით. არც აქ გაუმართლა პერსონებში ქვეყანას. მხოლოდ ის რად ღირს გასახსენებლად და სიმწრით გასაცინად, რომ ედუარდ შევარდნაძე ავთანდილ ჯორბენაძეს ავალებდა „კევის ბიზნესში" კორუფციის აღმოფხვრას. ამ დროს კი მთავრობის სხდომათა დარბაზში მყოფი თემურ შაშიაშვილი სწორედ ჯორბენაძეს სდებდა ბრალს „კევის მაფიაში".

დასასრული მე-15 გვერდზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას შეცვლის ქართულ პოლიტიკაში სააკაშვილის დაბრუნება

ლელა ჯეჯელავა: „ოპოზიციას ვეტყვი, სარკეში ჩაიხედე და ნახე, როგორ გამოიყურები გარედან!“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ აპირებს, აქტიურად ჩაერთოს ქართულ პოლიტიკაში.

„ბოლო წვეთი იყო იმ მოღალატეების აღლუმი, რომელიც გუშინ, აჭარის უზენაეს საბჭოში ვიხილე. საქართველოს ღალატმა და გარუსების მცდელობამ უკვე ყველა დონეზე შეაღწია. მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ვაპირებ, ძალიან აქტიურად ჩართვას ქართულ პოლიტიკაში, უკრაინაში ჩართულობის პარალელურად. უკრაინის გამარჯვებას გულხელდაკრეფილი კი არ უნდა ველოდოთ, არამედ, აქტიურად მოვაახლოოთ, მათ შორის, ჩვენი ინოვაციური და გაბედული ქმედებებით. დღეიდან ვაპირებ, მონაწილეობა მივიღო ყველა „სასამართლოში“, სადაც ფიზიკურად შევძლებ. ასევე, როგორც ყოველთვის, მოვუწოდებ ყველა ეროვნულ, ანტირუსულ ევროპულ ძალას ერთიანობისკენ, მათ შორის, პირველ რიგში, ჩემ მიერ დაფუძნებულ პარტიას, ნაციონალურ მოძრაობას“, – წერს მიხეილ სააკაშვილი Facebook-ზე.

რას შეცვლის ქართულ პოლიტიკაში სააკაშვილის „დაბრუნება“ – „ვერსია“ ანალიტიკოს ლელა ჯეჯელავას ესაუბრა.

– ქალბატონო ლელა, დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილის ოჯახი და ადვოკატები გვარწმუნებდნენ, ქართული პოლიტიკით არ ინტერესდება და ჩარევასაც არ აპირებსო... როგორ ფიქრობთ, რამ შეაცვლევინა ასე რადიკალურად გადაწყვეტილება მესამე პრეზიდენტს?

– წესით, ამაში მოულოდნელი არაფერი უნდა ყოფილიყო მათთვის, ვინც მიხეილ სააკაშვილს, როგორც პოლიტიკოსს, ოდნავ მაინც იცნობს. რაც შეეხება პოლიტიკიდან წასვლის საკითხს, თუ არ ვცდები, პირადად მისგან ეს განცხადება არ მომისმენია. ამიტომ, პასუხისმგებლობას ადვოკატებისა და მისი ახლო გარემოცვის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე სააკაშვილი რომ არ აიღებს, ამისი მოლოდინი, ალბათ, ყველას უნდა გვქონოდა. ამას ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქისთვის, განსაკუთრებული არაფერი შეუცვლია, რადგან ვიცი, რომ ენმ ყოველთვის იყო მიხეილ სააკაშვილზე აწყობილი პარტია და როცა დაინახა საფრთხე საკუთარ პარტიასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, როგორც პოლიტიკოსმა, მიიღო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება. ის მოქმედებს პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან და არა იქიდან გამომდინარე, თუ რას იფიქრებს მასზე რომელიმე ლელა, ან თუნდაც პოლიტიკური ლიდერი.

თუ შევეცდებით ამ გადაწყვეტილების გაანალიზებას, ის, პოლიტიკური თვალსაზრისით, სწორია, რადგან მას ჯერ კიდევ შეუძლია საკუთარი პარტიის რეანიმირება. ცოტა ხანს კიდევ რომ დაეხანებინა, არ ვიცი, იქნებოდა თუ არა ეს შესაძლებელი. ბუნებრივია, ეს იმ მოცემულობას, რომ ენმ იქნება კვლავ ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტია, არ შეცვლის არჩევნების წინ.

მართლა გულწრფელად ვუსამძიმრებ იმ პოლიტიკურ ჯგუფებს, ვისაც მიაჩნდა, რომ დაშლილი ნაციონალური მოძრაობის ხარჯზე ექნებოდათ შესაძლებლობა პოლიტიკურ ელექტორატზე ნადირობის და ამით საკუთარი „ელექტორალური ყულაბის“ შევსების. ეს, ალბათ, აღარ მოხდება და მათ სხვა მნიშვნელოვანი რამ უნდა მოიფიქრონ, რომ საკუთარი ელექტორალური ძალა გაზარდონ. ამისთვის ყველაზე უკეთესი გზა ნამდვილად არ იქნება სააკაშვილის დამუნათება, რადგან მისი ამომრჩევლის გადასაწყვეტია, როგორ შეაფასებს მის ამ საქციელს, რა ქვეტექსტს ამოიკითხავს ამაში...

მთავარი შეცდომა დანარჩენი ოპოზიციური პარტიების, რომელთაც, ვფიქრობ, მეტი თავშეკავება უნდა გამოეჩინათ ამ ფაქტის კომენტირებისას, იყო ის, რომ მართლა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს, იმის გარდა, რომ მათი დღევანდელი პოლიტიკური ლიდერები არიან სუსტები და რომ მიხეილ სააკაშვილი არის „ჩამოწერილი“ პოლიტიკური ლიდერი, სხვას არაფერს სთავაზობდნენ. მათ რამე მნიშვნელოვანი, განსხვავებული და სახელმწიფოებრივად გამართული იდეა რომ შეეთავაზებინათ, მაშინ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა. ნაციონალური მოძრაობა, ძველი თუ ახალი ლიდერებით, ერთ-ერთი პროევროპული პარტიაა, რომელიც საქართველოს ევროპული მომავლისთვის იბრძოდა და დღესაც ასეა. ამისგან გასხვავებული რამ უნდა შეეთავაზებინათ საზოგადოებისთვის, მაგრამ მე, როგორც ამომრჩეველმა, ვერც განსხვავებული მაკონსოლიდირებელი იდეა მოვისმინე, ვერც რეალური ქმედებები და ნაბიჯები ვნახე... ასე რომ, ყველა პასუხისმგებელია საკუთარ ნაბიჯებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და ყველა პარტიას მოუწევს პასუხისმგებლობის აღება...

თან ნახეთ, როგორი სერიოზული კაზუისტიკაა მათ დამოკიდებულებაში – ამბობენ, რომ სააკაშვილი ჩამოწერილია, როგორც პოლიტიკური ლიდერი და თან მათთვის არასახარბიელო პოლიტიკურ ვითარებასაც აბრალებენ. როგორ შეიძლება, ჩამოწერილმა პოლიტიკურმა ლიდერმა, რომელსაც არ თვლი ანგარიშგასაწევ ძალად, შეგიცვალოს პოლიტიკური მოცემულობა? თუ გიცვლის, ე.ი. ჩამოწერილი არ არის.

– ამბობთ, რომ სააკაშვილმა საკუთარი პარტიის დაშლის საფრთხე დაინახა... ნიკა მელიასა და პარტიის ამჟამინდელ მმართველობას შორის დაპირისპირება იგულისხმეთ?

– არ მგონია, რომ გინდათ, მელიას და გინდათ, ხაბეიშვილის ამომრჩეველი იყოს ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მათ რამე ცვლილებების შეტანა მოეხერხებინათ ენმ-ის „ელექტორალურ ყულაბაში“. ნიკა მელიასა და ლევან ხაბეიშვილის ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობა მიხეილ სააკაშვილის ამომრჩეველია. ეს ხაბეიშვილმაც კარგად იცის და მელიამაც... პირადად მე, არასდროს გამჩენია განცდა, რომ სააკაშვილი პოლიტიკიდან მიდის...

– არც მაშინ გაგიჩნდათ ეს განცდა, როცა ქართულად კი არა, უკრაინულად დაიწყო საუბარი სასამართლო პროცესზე? ამის გამო, საზოგადოების ნაწილი ძალიან გაბრაზდა...

– ეს სწორედ საზოგადიების გასაბრაზებლად იყო მიმართული.

– რა კონტექსტში?...

– იმიტომ, რომ მცდარი იყო მისი მოსაზრება თუ არამცდარი, ის ქართული საზოგადიებისგან ელოდა სხვა ტიპის მხარდაჭერას. მას უკრიანის ხელისუფლებისგან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, მაგრამ სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონდა ამ ქვეყანაში. ეს იყო, ალბათ, ამის მიზეზი. სწორი იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება და ამ ფორმით სიბრაზის გამოხატვა, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ამას გაარკვევს მისი ამომრჩეველი.

– როგორ ფიქრობთ, რა როლს ითამაშებს სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ოპოზიციის საარჩევნო შანსებზე – გაზრდის მესამე პოლიტიკური პლატფორმის შექმნის შესაძლებლობას, თუ პირიქით – დაასუსტებს ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციის გაერთიანების მცდელობას?

– ძალის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ ძალისთვის მახასიათებელი მარკერებით – ეს არის ფული, იდეა ან ძალიან მაღალი რეპუტაციის პოლიტიკური ფიგურა. რომელს ხედავთ ახლა? თუ ოპოზიციურ პარტიებს განზრახვა აქვთ, რომ მიაღწიონ წარმატებას, ნამდვილად საჭიროა, მინიმუმ, ორი ცენტრი მაინც არსებობდეს ოპოზიციურ სპექტრში და მთავარი ამოცანა უნდა იყოს არსებული საარჩევნო კანონმდებლობის პირობებში, გაუნაწილებელი ხმების საშუალებით არ მისცენ შესაძლებლობა ქართულ ოცნებას, კვლავ დარჩეს ხელისუფლებაში, თორემ 2016 წლის შემდეგ, ყველა არჩევნებში ქართულმა საზოგადოებამ დაადასტურა, რომ ხმას არ აძლევს ხელისუფლებას. ყოველთვის უფრო მეტი ხმა ჰქონდა ჯამში ოპოზიციას, ვიდრე ხელისუფლებას, მაგრამ ვითარება ვერ შეიცვალა იმიტომ, რომ ოპოზიციამ ვერ უზრუნველჰყო, მომსახურებოდა საზოგადოების განწყობას.

ან ახლა კვლავ იმავეს გაიმეორებენ, ან კეთილს, ინებებენ და მონახავენ სწორ საარჩევნო ფორმულას, რომლითაც ისინი შეძლებენ საზოგადოების განწყობას მოემსახურონ და ხელისუფლება გაუშვან სახლში. ეს არის ოჯერ ორი – ოთხი. ამიტომ, თუ არ უნდათ, ნუ გაუერთიანდებიან, ძალით ამ ოპოზიციურ პარტიებს ვერ „დავაქორწინებთ“, ეს არ არის ჩვენი ამოცანა, მაგრამ თუ ამ არჩევნების მერეც ხელისუფლება კვლავ დარჩება, პასუხისმგებლობა ექნება ყველას და მიხეილ სააკაშვილისკენ ხელის გაშვერა ვეღარავის უშველის.

მარია კალიურანდმა ხელისუფლებას მიმართა, სარკეში ჩაიხედეთო, მე იმავეს ვეტყოდი ოპოზიციას, სარკეში ჩაიხედეთ და ნახეთ, როგორ გამოიყურებით გარედან. არ აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილს დააბრალებ, ნათელაშვილს თუ სხვას, როცა საკუთარ პასუხისმგებლობას გაურბიხარ და გინდა, რომ შენი შეცდომები სხვის, თუნდაც არასწორ ნაბიჯებს დააბრალო, პოლიტიკაში შენი ადგილი აღარ არის.

მიიღებს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსს

მაკა რუხაძე

ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი ბელგიის სამეფოში და „ევროპალია“ – 2023

ვიდრე ოპოზიციის წარმომადგენლები მსჯელობენ, მიიღებს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსს და ლამის ფსონებსაც კი დებენ არმიღებაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბელგიის სამეფოში ვიზიტი წარმატებით დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილმა მაღალი დონის რამდენიმე, ორმხრივი შეხვედრა ბრიუსელში გამართა. რაც მთავარია, პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვიდა კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე – „ევროპალია“ და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე. შეგახსენებთ, რომ სტუმარი ქვეყნის სტატუსით, საქართველო წელს, პირველად მონაწილეობდა კულტურის საერთაშორისო ფესტივალში – „ევროპალია“. ფესტივალი წელს სრულად მიეძღვნა საქართველოს, რამაც უნიკალური შესაძლებლობა შექმნა ევროპის პოლიტიკურ ცენტრში საქართველოს ევროპული ისტორიის, იდენტობისა და კულტურის წარმოსაჩენად. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, „ევროპალია-საქართველოს“ განსაკუთრებული დატვირთვა აქვს იმ ფონზე, როდესაც წლის ბოლოს, ქვეყანა კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ელოდება.

ირაკლი ღარიბაშვილის ბელგიის სამეფოში ვიზიტი კოლეგასთან, პრემიერ-მინისტრ ალექსანდერ დე კროოსთან შეხვედრით დაიწყო. პრემიერებს შორის შეხვედრა ჯერ პირისპირ, შემდეგ კი გაფართოებულ ფორმატში გაიმართა. შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებზე ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში. განიხილეს ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური, ინვესტიციების, ტურიზმის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მიმართულებით.

„შეხვედრაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების ისტორიულ გადაწყვეტილებაზე. აღინიშნა, რომ ევროკომისიის 12 რეკომენდაცია საქართველოს მიერ თითქმის შესრულებულია. ამ ფონზე, ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით განაცხადა, რომ წლის ბოლოს, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც საქართველოს ევროპული მომავლის, ისე გეოპოლიტიკურ კონტექსტში. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლარიზაციის შემცირებას“, – ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პრემიერ-მინისტრებს შორის შეხვედრის დასრულების შემდეგ, ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბელგიის სამეფოს ფედერალური საჯარო სამსახურის საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობისა და განვითარების თანამშრომლობის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

ამის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა სამუშაო სადილზე უმასპინძლა. ამ შეხვედრის მთავარი თემა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი იყო. მხარეებმა განიხილეს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების ნაწილში. ლიდერებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნის ევროპული პერსპექტივის აღიარება ისტორიული გადაწყვეტილებაა და ხაზი გაუსვეს, რომ წლის ბოლოს, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, მათ შორის, პოლარიზაციის დასრულების თვალსაზრისითაც.

საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონში უსაფრთხოების გარემოს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ რთულ ვითარებას. აქცენტი გაკეთდა საქართველოს მნიშვნელოვან როლზე რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა რეგიონში ევროკავშირის ჩართულობის მნიშვნელობა, როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის, ისე საქართველოსა და ევროკავშირს შორის შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული კავშირების გაღრმავების თვალსაზრისით.

ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბელგიის სამეფოს წარმომადგენლობითი პალატის პრეზიდენტ ელიან ტილიეს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხები და ყურადღება გაამახვილეს საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებაზე. შეხვედრაზე დადებითი შეფასება მიეცა ორ ქვეყანას შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში მჭიდრო პარტნიორობას და ხაზი გაესვა სავაჭრო-ეკონომიკური, ინვესტიციების, ტურიზმის, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს.

ბელგიის სამეფოს წარმომადგენლობითი პალატის პრეზიდენტთან შეხვედრისას, ირაკლი ღარიბაშვილმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესსა და ევროკომისიის 12 პრიორიტეტის დიდი ნაწილის შესრულებაზე. პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების ისტორიულ გადაწყვეტილებაზე და ხაზი გაუსვა წლის ბოლოს, ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას.

ამის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბელგიაში, კულტურის საერთაშორისო ფესტივალის – „ევროპალიისა“ და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა. საღამოზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს ელჩმა ვახტანგ მახარობლიშვილმა, ბელგიის სამეფოს საგარეო საქმეთა, ევროპის საქმეთა და საგარეო ვაჭრობის, ფედერალური კულტურული ინსტიტუტების მინისტრმა აჯა ლაბიბიდამ და ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა, ოლივერ ვარჰეიმ.

რაც შეეხება „ევროპალიას“, წელს ეს ფესტივალი 2023 წლის ოქტომბერში დაიწყება და 2024 წლის თებერვლამდე გაგრძელდება. ღონისძიებები ბელგიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდება. ოთხი თვის განმავლობაში, ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს კულტურა. ფესტივალის სტუმრებს საშუალება ექნებათ, საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება გაიცნონ, როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე ხელოვნების საშუალებით.

ფესტივალი ორ გამოფენას უმასპინძლებს, სახელწოდებით – „საქართველო – შეხვედრების ადგილი“ და „მოდერნიზმი საქართველოში – ფანტასტიკური ავანგარდი“. ფესტივალზე თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებას მსოფლიოში აღიარებული ქართველი არტისტების მონაწილეობით წარადგენენ. სამუზეუმო გამოფენების გარდა, თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებას წარადგენენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი არტისტების საავტორო გამოფენებზეც.

საგანგებოდ აღსანიშნავია ქართული მუსიკალური ხელოვნების წარმოსაჩენად დაგეგმილი ტრადიციული, პროფესიული და თანამედროვე მუსიკის კონცერტები, ფოლკლორული ანსამბლები და „კამერული გუნდი“.

გარდა ტრადიციული მუსიკისა, ევროპის საზოგადოება გაეცნობა ქართულ პროფესიულ მუსიკალურ საკომპოზიტორო ხელოვნებასაც. ფესტივალი უმასპინძლებს ერის სასიქადულო ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს. გარდა ამისა, ფესტივალზე წარდგენილი იქნება გერმანიაში მოღვაწე მწერლის შემოქმედება.

თეატრალურ და საშემსრულებლო ხელოვნებას წარადგენენ ქართული პროფესიული თეატრები.

ფესტივალზე ნაჩვენები იქნება ქართული კინო, როგორც მსოფლიო ფენომენი, რომლის მიმართაც ინტერესი იყო და დღესაც მზარდია ევროპაში.

„სამოქალაქო ომი მტკივნეული საკითხია და არ მგონია, აწი ქართველმა ქართველს იარაღი ესროლოს“

რით ხსნის ცოტნე კობერიძე ზურაბ ჯაფარიძეზე თავდასხმას და ვისთან აპირებს საარჩევნოდ გირჩი – მეტი თავისუფლება გაერთიანებას

თათია გოჩაძე
598-43-50-34

გირჩი მეტი თავისუფლების ლიდერს, ზურაბ ჯაფარიძეს გორში, „სმარტთან“ თავს მაშინ დაესხნენ, როცა ბორჯომის ბანაკში ლექციის ჩასატარებლად მიდიოდა. თავდასხმის შედეგად, ჯაფარიძემ დაზიანება თვალის არეში მიიღო და რამდენიმე საათი პოლიციაში, გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

იმავე დღეს, აგრესიული ჯგუფი ბორჯომში, ახალგაზრდულ ბანაკში შეიჭრა, სადაც ლექციის ჩასატარებლად ზურა ჯაფარიძეს ელოდნენ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სოციალური ქსელის მომხმარებელმა, სახელით – Salut Salut, გაავრცელა პოსტი, სადაც ნათქვამია, რომ ზურა ჯაფარიძეს, მისმა მეგობარმა სოსო მაისურაძემ სცემა და Facebook-ზე, პოსტს მისი სახელით აქვეყნებდა.

„მოგესალმებით, მე ვარ სოსო მაისურაძე, გორელი კაცი. ჩემ მიერ იცემა ზურა ჯაფარიძე, იცემა ჩვენი შვილების გარყვნისათვის, იცემა პატრიარქის და ეკლესიის შეურაცხყოფისათვის და იცემა იმ საქციელისათვის, როდესაც შიშველი უკანალები აჩვენეს მტერს“.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ზურა ჯაფარიძეზე თავდამსხმელი დაკავებულია. მოძრაობა „აი იას“ ლიდერი ვატო შაქარიშვილი, რომელმაც ორგანიზაცია გია გაჩეჩილაძესთან („უცნობთან“) ერთად დააფუძნა, Facebook-ში, ამ თავდასხმის დეტალებზე წერს.

„გორში, „სმარტში“ გაჩერდა, ერთი ქართველი კაცი მიუახლოვდა, თუ შეიძლება, შუშას ჩაუწიე, რაღაც მაქვს სათქმელიო... ჩამოწია გირჩმაც, იფიქრა, მესალმებაო და ცვხირ-პირში მოხვდა. ეს იმისთვის, ჩვენს პატრიარქს და ეკლესიას რომ შეურაცხყოფას აყენებო და წავიდა თავის გზაზე ის კარგი კაცი... ზურა დარჩა შარვალჩახდილი და მოუწია უკან, თბილისში დაბრუნება“.

„ვერსია“ „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ერთ-ერთ ლიდერთან, ცოტნე კობერიძესთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– ეს არის დაგვირგვინება იმ პროპაგანდის, რაც ხელისუფლებამ აწარმოა თვეების განმავლობაში... ზოგადადად, მავნებლობებს აკეთებს, თითქოს, საზოგადოებაში სიბრაზე არსებობს, რაც „დააგვირგვინეს“ ასეთი ფაქტით. არავის ჰგონია, რომ ეს ბუნებრივად მოხდა, როცა ერთდროულად, ბორჯომში, ჩვენ ბანაკში, ზურას დასახვედრად რამდენიმე ათეული ადამიანი შეიკრიბა. მერე გორში, ზურას მიმართ ეს ფაქტი მოხდა, მეორე დღეს, „ფრანკლინის კლუბს“ მიუვარდნენ და სცადეს, ჩაეშალათ ღონისძიება. ცხადია, ყველაფერი ეს, ერთი სცენარის ნაწილია. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მსგავსი ფაქტები იმატებს ხოლმე და ქართულ პოლიტიკაში ეს არახალია.

– გავრცელებულ განცხადებაში თავდასხმის მოტივად პატრიარქის შეურაცხყოფა და სხვა მსგავსი საკითხები დასახელდა. არავისთვის უცხო არაა, რომ მსგავს სენსიტიურ თემებს რუსეთი საზოგადოების დაპირისპირებისთვის იყენებს და ხომ არ ხედავთ უფრო მასშტაბურ საშიშროებას – ვთქვათ, სამოქალაქო დაპირისპირების კონტექსტში?

– ცხადია, როცა ერთი მხარე ფიქრობს, რომ მორალური უპირატესობა აქვს, რადგან მის უკან დგანან მაღალი იერარქიის რელიგიური პირები, ეს მათ ათამამებთ, მით უმეტეს, როცა ქვეყანაში ეს რელიგია დომინანტურია – ინსტიტუციას ვგულისხმობ და გარდა ამისა, ეს ინსტიტუცია ძალადობრივია. ნაცვლად იმისა, ქადაგებდნენ, როდესაც დაგარტყამენ, მეორე ლოყა მიუშვირეო, თვითონ არიან გადასული აგრესიაზე.

უბრალოდ, მაინც მგონია, საქართველო მიხვდა, რომ სამოქალაქო ომი მტკივნეული საკითხია და არ მგონია, აწი ქართველმა ქართველს იარაღი ესროლოს.

მაინც ვფიქრობ, რომ ეს ბუნებრივი ამბავი არ არის, ეს ადამიანები სახელისუფლებო რაღაც შტოს ნაწილნი არიან, ძალიან დაბალ დონეზე... შეიძლება, ვიღაც დასაქმებულია რაღაც სექტორში, ან ვიღაცაზე საქმეა აღძრული და სახელმწიფოსთან რაღაც შეხება უწევს და ასეთ დავალებას იღებს... აქედან გამომდინარე, არ მგონია, ბუნებრივად, საზოგადოებაში ასეთი პოლარიზაცია მოხდეს და ერთმანეთის წინააღმდეგ ისეთ შეტაკებებში გადაიზარდოს, რომ ომამდე მივიდეს საქმე, თუმცაღა აზრობრივად და იდეის დონეზე, აშკარად არსებობს ეს დაპირისპირება. ეს გარდაუვალი მგონია, რადგან ახლა იბადება მოდერნისტული საზოგადოება და ამას მუდამ ჰყავს ოპოზიცია, რომელიც რელიგიას არის ამოფარებული იმიტომ, რომ სხვა მხრივ, იდეების კონკურენციაში შემოსვლა უჭირთ, აზრის ჩამოყალიბებაც უჭირთ და ამიტომაც ურჩევნიათ დოგმაზე აწყობილი, რაღაც ფილოსოფია – ამის ფუფუნებას კი მათ აძლევთ რელიგია.

– ცოტნე, წელან წინასაარჩევნო პერიოდი ახსენეთ და საინტერესოა, თუ დაიწყეთ მზადება 2024 წლის არჩევნებისთვის? რა სტრატეგია გაქვთ, თუნდაც დიდ პარტიებთან პოლიტიკურ გაერთიანებასთან დაკავშირებით?

– გირჩი – მეტი თავისუფლება, ალბათ, ყველაზე პირველი იყო, რომელმაც ისაუბრა გაერთიანების მნიშვნელობაზე. მაშინ ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამ საკითხს და დასცინოდა, არადა, ნელ-ნელა მატულობს ეს რიტორიკა და ვიცოდით, რომ ეს ასე იქნებოდა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

ძნელად წარმომიდგენია ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად დაწყებული ერთობა, ამას მხარს არ დავუჭერ, რადგან აშკარად უცნაურობები ხდება – მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება იმ ფონზე, როცა თვეების უკან, ის ქართულად არ გვესაუბრებოდა და მისი ადვოკატები და ოჯახის წევრები გვიმტკიცებდნენ, რომ ქართული პოლიტიკა აღარ აინტერესებდა, რადგან ცუდადაა... ახლა კი მისი ლიდერობით არჩევნებზე გასვლა არ მგონია ნორმალური. ის შეიძლება იყოს პრემიერობის კანდიდატი მისი პარტიისა და იმ პარტიებსაც, ვინც მას მიუერთდებიან, მოუწევთ სააკაშვილის პოტენციური პრემიერობის ქვეშ გაერთიანება, რისი მომხრეც მე არ ვარ.

უფრო მართებულად მიმაჩნია, რომ ამ ორი დიდი პარტიის მიღმა, შეიძლება, შეიქმნას რამე დიდი პლატფორმა, რაც ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის კონკურენციის დამბალანსებელი იქნება.

– ამ პლატფორმაში თქვენთან ერთად, რომელ პარტიებს განიხილავთ?

– ყველა პროდასავლურ პარტიას.

– გარდა ნაციონალური მოძრაობისა?

– გარდა იმ პარტიისა, რომელიც ვერ ვხვდები... პოლიტიკური შეთანხმებები ხომ ისე უნდა მოხდეს, რომ საჯაროდ ავიღოთ პასუხისმგებლობა და საჯარო პასუხისმგებლობა როგორ უნდა ავიღო იმ პარტიაზე, რომელიც ყოველ კვირა ცვლის თავის სათქმელს? ხომ უნდა ვიცოდე, ვის ვართმევ ხელს, მას პარტიაში რა გავლენა აქვს და მისი სიტყვები შესრულდება.... ამის გარანტია არ არსებობს და არ ვთვლი სწორად, ასეთი შეთანხმებები დავდო პარტიასთან, რომელმაც შეიძლება ერთ კვირაში ჩემი ლანძღვა დაიწყოს.

– გასაგებია, რომ ელენე ხოშტარიასა და გიორგი ვაშაძესთან გაერთიანდებით, სხვა პარტიებს არ დაასახელებთ?

– დიახ, ალბათ, პლუს ლელო, რომელმაც შეცვალა რიტორიკა ბოლო რამდენიმე კვირაა და თავადაც არის მოწადინებული ამ საკითხით... ევროპული საქართველო გამოკვეთილად დამოუკიდებელი მოთამაშე იყო, მაგრამ მგონია, რომ მათი ხედვებიც იცვლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა აქეთ მოემართება, ჩვენ კი ჩვენი ნათქვამი გვაქვს ამ თემასთან დაკავშირებით, ამიტომ ველოდებით, სხვა პარტიები რას იზამენ...

– თუ გაქვთ სტრატეგიული ჩანასახი, როგორ აპირებთ საარჩევნო კამპანიის მართვას? საპროტესტო აქციები იქნება თქვენი გეგმის ნაწილი?

– მგონია, რომ მარტო აქციებით პოლიტიკის კეთება პოლიტიკას დაბალხარისხოვანს ხდის. მაინც წინასაარჩევნოდ, ერთი მხრივ – კონკრეტული იდეები და პროგრამა, ხოლო მეორე მხრივ, ხალხი დაგვჭირდება, ვინც ამ ხედვების გამკეთებლობის ძალას ასხივებს...

როგორი საარჩევნო გარემო იქნება და ჩვენ როგორ განვახორციელებთ ამ კამპანიას, დამოკიდებულია იმაზე, რაზეც წელან ვისაუბრე – რა ტიპის პლატფორმა შეიქმნება, რა ფორმაციით მოხდება გაერთიანება. გარდა ამისა, კანდიდატობის საკითხია მნიშვნელოვანი და ამის შემდეგ, უფრო მარტივად შევძლებ ამაზე პასუხის გაცემას.

– ესე იგი, ელოდებით ევროკავშირის გადაწყვეტილებას?

– კი, მხოლოდ ჩემს თავზე დამოკიდებული რომ ვიყო, უფრო მარტივად გეტყოდით, მაგრამ როცა ჩემი პოლიტიკა დამოკიდებულია სხვა პარტიის გადაწყვეტილებაზე, რაღაცას ველოდებით და ეს რაღაც, ალბათ, კანდიდატის სკითხია.

რა დარღვევები გამოავლინეს საქართველოს 23 მუნიციპალიტეტში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალი სკანდალური დასკვნა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 23 მუნიციპალიტეტის დაფინანსებითა და შესყიდვებით დაინტერესდა. შესაბამისობის აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებასა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებულ შესყიდვებს ეხება და მოიცავს 2020-2021 წლებს. აუდიტის შედეგად სხვადასხვა სახის დარღვევები გამოვლინდა, რასაც დეტალურად განვიხილავთ.

ხარვეზები აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტებში პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონშეუსაბამოდ იყო გაცემული დამატებითი ანაზღაურება. მაგალიტად, მესტიის, მცხეთის, კასპისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში, 2020-2021 წლებში, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონმდებლობის შეუსაბამოდ გაიცა დამატებითი ანაზღაურება, ჯამში – 64 600 ლარის ოდენობით.

„განხორციელებული აუდიტის ფარგლებში შემოწმებულ 23 მუნიციპალიტეტში, 2020-2021 წლებში, შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 81.366.3 ათასი ლარი, მათ შორის, დანამატი – 750.9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი ჯილდო – 1.144.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის, ცაგერისა და ხონის მუნიციპალიტეტებს თანამდებობრივი სარგოს გარდა, დამატებითი ანაზღაურება არ გაუციათ. 2020 წელს, დანამატი გაცემულია 17 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ხუთ მუნიციპალიტეტში გაცემულია ფულადი ჯილდო. 2021 წელს, დანამატი გაიცა 18 მუნიციპალიტეტში, 12 მათგანში გაცემულია ფულადი ჯილდოც“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების მიერ შემოწმებული 23 მუნიციპალიტეტიდან ოთხში, 2020-2021 წლებში, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონმდებლობის შეუსაბამოდ გაცემულია დამატებითი ანაზღაურება სახელფასო დანამატისა და ჯილდოს სახით, ჯამში – 64.6 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ: მესტიის მუნიციპალიტეტში, 2020-2021 წლებში, პოლიტიკური თანამდებობის შვიდ პირზე გაცემულია 19.2 ათასი ლარი – დანამატის, ხოლო 17.2 ათასი ლარი – ფულადი ჯილდოს სახით; მცხეთის მუნიციპალიტეტში, 2021 წელს, პოლიტიკური თანამდებობის 22 პირზე გაცემულია 21.4 ათასი ლარის ფულადი ჯილდო; კასპის მუნიციპალიტეტში, 2020-2021 წლებში პოლიტიკური თანამდებობის ორ პირზე გაცემულია დანამატი 5.2 ათასი ლარის ოდენობით; წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, 2021 წელს პოლიტიკური თანამდებობის ერთ პირზე გაცემულია დანამატი 1.6 ათასი ლარი ოდენობით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად, მესტიის, მცხეთის, კასპისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე დამატებითი ანაზღაურება გაცემულია მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ. საჭიროა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა გაატარონ სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

სხვადასხვა დარღვევები

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დარღვევებია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დადგენილ ნორმაში. მაგალითად, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად დაქირავებული იყო დადგენილ ნორმაზე მეტი პირი; ზოგ შემთხვევაში დაქირავებულთა ფუნქცია-მოვალეობები საჯარო მოსამსახურეების ფუნქციის იდენტური ან/და დაუსაბუთებელი გახლდათ. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს, მუნიციპალიტეტები მოქმედებდნენ არა თვითმმართველი ერთეულის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ კონკრეტული პირების დასაქმების მიზნით.

„სახელმწიფო აუდიტორებმა საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯებიც გამოავლინეს. მაგალითად, მუნიციპალიტეტებმა, 2020-2021 წლებში, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 3.117.8 ათასი ლარი გასცეს შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ხარვეზები გამოავლინეს მივლინების პროცესშიც. მაგალითად, მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. არსებობს რისკი, რომ ზოგ შემთხვევაში, მივლინების საჭიროება განსაზღვრული არ არის თვითმმართველი ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები სამივლინებო თანხებს იყენებდნენ არარაციონალურად.

რაც შეეხება დოკუმენტურად დაუსაბუთებელ წარმომადგენლობით ხარჯებს, აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ზოგ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებმა სტუმრების კვების ხარჯები გასწიეს კონკრეტული ღონისძიებისა და თვითმმართველი ერთეულის ინტერესების საჭიროების გარეშე. სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული ხარჯები არაეკონომიურია, რადგან მოსალოდნელ შედეგებზე გავლენა ვერ დგინდება.

ხარვეზები გამოვლინდა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაშიც. აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტებმა ვერ დაასაბუთეს, რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტები ვალდებულნი იყვნენ, პირველ რიგში, საკუთარი შრომითი რესურსი გამოეყენებინათ, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარღვევები სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ერთგვაროვანი მეთოდი გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების დასათვლელად. მათ მიერ პრაქტიკაში გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა რისკის შემცველია და შესაძლებელია, იწვევდეს თანხების ზედმეტად ანაზღაურებას. გამარტივებული შესყიდვის დროს, მუნიციპალიტეტები ვერ იცავენ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ფასად მიწოდების პირობას.

„2020-2021 წლებში, 40.0 ათას ლარს ზემოთ ღირებულების სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული წესით შესყიდული აქვს 18 მუნიციპალიტეტს. კერძოდ, სულ გაფორმებულია 180 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით – 34.881.2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტებმა შეისყიდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და სხვა სამუშაოები. გამარტივებული შესყიდვის დროს, სამუშაოს/საქონლის/მომსახურების მიწოდების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შესაბამისად, შესაძლოა, შესყიდვა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად. სწორედ ამ რისკებიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით“.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის პროცესი. გამოვლინდა, რომ მერიებს ამ მიზნით რაიმე წესი/მეთოდი შემუშავებული არ აქვთ. შესაბამისად, არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა, რომელიც პროცესს სანდოს და კონტროლირებადს გახდის. მუნიციპალიტეტები სამუშაოების რეალური ღირებულების დასა-

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოავლინეს საქართველოს 23 მუნიციპალიტეტში

მე-7 გვერდიდან

დგენად ძირითადად იყენებენ რამდენიმე მიდგომას, რომლებიც სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის რისკის შემცველია, კერძოდ: მუნიციპალიტეტები მიმწოდებლებზე თანხის ანაზღაურების დროს არ ითვალისწინებდნენ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს – მიმწოდებლებისაგან არ ითხოვდნენ დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ და ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ წარდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების შესაბამისად.

„შედეგად, სამმა მუნიციპალიტეტმა, 36 ხელშეკრულების ფარგლებში, 3.549.5 ათასი ლარი აანაზღაურა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე. კერძოდ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ათი ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლებისათვის ანაზღაურებულია 1.127.1 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ფაქტობრივმა დანახარჯებმა 1.062.9 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურებულია 64.2 ათასი ლარი; ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის – ორი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ზედმეტად ანაზღაურებულია 8.2 ათასი ლარი. ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულად შესწავლის შემთხვევაში, ზედმეტად ანაზღაურებული თანხა შესაძლოა გაიზარდოს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტები სამუშაოების ფაქტობრივ დანახარჯებს და ღირებულებას განსაზღვრავდნენ საექსპერტო დასკვნების საფუძველზე. კერძოდ, 15-მა მუნიციპალიტეტმა 144 ხელშეკრულების ფარგლებში, ამ ფორმით აანაზღაურა 31.331.7 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი: ზოგ შემთხვევაში საექსპერტო დასკვნები არ შეიცავს ინფორმაციას სასაქონლო ზედდებულების, ხელფასის უწყისების, ტრანსპორტის დაქირავებისა და სხვა ინფორმაციის წარდგენის შესახებ ან/და ექსპერტიზის მიერ ფაქტობრივი დანახარჯები არასათანადოდ არის დათვლილი.

„სახელშეკრულებო ღირებულება დგინდებოდა შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარჯთაღრიცხვის ერთეული ფასების მიხედვით, რაც შესაძლებელია, არ ემთხვეოდეს ფაქტობრივ დანახარჯებს. კერძოდ, ოთხი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება, შესრულებული სამუშაოების ღირებულება იყო თუ არა შესწავლილი მთავრობის დადგენილების შესაბამისად და მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ თერჯოლის, საგარეჯოსა და საჩხერის მუნიციპალიტეტებმა, შვიდი ხელშეკრულების ფარგლებში, საერთო ღირებულებით – 558.8 ათასი ლარი, მიმწოდებლებს ზედმეტად აუნაზღაურეს, არანაკლებ, 28.6 ათასი ლარი“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ერთგვაროვანი მეთოდი გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების დასათვლელად. მათ მიერ პრაქტიკაში გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა რისკის შემცველია და იწვევს თანხების ზედმეტად ანაზღაურებას. კერძოდ, 2020-2021 წლებში, 20 ხელშეკრულების შემთხვევაში – 101.0 ათასი ლარი ანაზღაურებულია ზედმეტად; ერთი ხელშეკრულებისათვის – 75.2 ათასი ლარი, ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის გარეშე, ხოლო ათი ხელშეკრულებისათვის – 61.8 ათასი ლარი, კერძო პირებთან გაფორმებული შესყიდვის აქტებით.

ხარვეზები შიდა აუდიტის სამსახურების საქმიანობაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შიდა აუდიტის სამსახურებს სათანადოდ არ შეუსწავლიათ ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენიათ სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუციათ შესაბამისი რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურებმა ვერ უზრუნველჰყვეს მერიების საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

„წალკისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში შიდა აუდიტის სამსახურს თავისი მოვალეობები არ შეუსრულებია და არ ფუნქციონირებდა. კერძოდ, 2020-2021 წლებში, წალკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ წარადგინა წლიური და სტრატეგიული გეგმები, არ ჩაუტარებია არც ერთი აუდიტორული შემოწმება, არ შეუდგენია აუდიტორული ანგარიშები და არ გაუცია რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლებში დამტკიცებული საშტატო ნუსხების შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო ორი თანამშრომელი, რომელთაც შრომის ანაზღაურების სახით აღებული აქვთ 42.1 ათასი ლარი“.

სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციით, მესტიის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს, 2020 წელს არ შეუდგენია სამოქმედო გეგმა, არ ჩაუტარებია არც ერთი აუდიტორული შემოწმება და არ გაუცია რეკომენდაცია, რაც ძირითადად, გამოწვეული იყო პანდემიით. 2021 წელს, გეგმით გათვალისწინებული ოთხის ნაცვლად, სამსახურმა ჩაატარა ორი აუდიტორული შემოწმება. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო ორი თანამშრომელი, რომელთაც შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ 23.2 ათასი ლარი. 13 მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტის სამსახურს არ აქვს შესრულებული წლიური გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებები.

სამართალი

№22 21 ივნისი 2023 წ

„ზურგიდან მივეპარე და ჩაქუჩი მთელი ძალით ჩავარტყი“

მამის მკვლელი ქალის სკანდალური აღსარება

ბათო ჯაფარიძე

დღეს მოტოციკლი არაერთი ადამიანის გატაცებაა. შორს წასვლა რად გვინდა, პარლამენტის რამდენიმე წევრი, დედაქალაქის მერი, მოტოციკლით გადაადგილდებიან. ეს ერთგვარი ჰობიცაა და ფუფუნების საგანიც და არცთუ იშვიათად მოტოციკლის ფასი ავტომობილის ფასსაც კი აჭარბებს. ადრე კი თითქოს სხვაგვარად იყო. საბჭოთა წარმოების „იჟ“, „იავა“ და სხვა, მეტ-ნაკლებად ცნობილი თუ უცნობი მოტოები მაშინდელი ახალგაზრდების ოცნება იყო. ადრინდელ მოტოებს არც ისეთი სიჩქარე ჰქონდათ, სიცოცხლისთვის სახიფათო ყოფილიყო, მაგრამ ავარიები და მოტეხილი ხელ-ფეხი იშვიათობა მაშინაც არ იყო, თუმცა დედაქალაქში იყო პერიოდი, როცა მოტოციკლების მფლობელებზე ნამდვილი ნადირობა გამოცხადდა. რატომ? იმიტომ, რომ მოტოციკლისტები (ახლანდელი „ბაიკერები“) კარგად ჩამოყალიბებული და შეკრული ბანდის წევრები გახდნენ, რომლებიც მარტივად ახერხებდნენ მოქალაქეების ძარცვას. ჰო, ძარცვას, რადგან ქუჩაში მომავალ ადამიანებს გვერდით მოტოთი ჩაუქროლებდნენ და ვიღაცას ჩანთას გასტაცებდნენ, ვიღაცას საყურეს ყურიანად ახევდნენ. ყველაფერი ეს იმდენად სისტემატიური გახდა, რომ პატრულირება ოპერმუშაკებმა დაიწყეს, მაგრამ ისინი მოტოციკლისტებს ვერ იხელთებდნენ, რადგან შემთხვევის ადგილს ძალიან მალე ტოვებდნენ. რაც მთავარია, ისინი არ მოქმედებდნენ მარტო, მუდმივად 2-3 მოტოციკლისტი გადაადგილდებოდა და ერთმანეთს ხელს უწყობდნენ, მდევარს კვალს ურევდნენ. სამართალდამცავები ამ ამბით კი იყვნენ შეწუხებულნი, მაგრამ საქმეს სერიოზულად მას შემდეგ მიუდგნენ, რაც ერთ-ერთი მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს...

ეს მამაკაცი მოტოციკლისტებს დასდევდა, გრძელი რკინის კეტით შეიარაღებული დადიოდა და თუ სადმე მოიხელთებდა, მაშინვე მათზე იწევდა. ერთ დღეს, მან ერთ-ერთი მოტოციკლისტი მოტოდან ჩამოაგდო, ჩაფხუტი მოხადა, მაგრამ ჩაფხუტის შიგნით მას ნიღაბი ეკეთა. სანამ ნიღაბს მოხდიდა, სხვა მოტოციკლისტები მივარდნენ და მეგობარი ხელიდან წაგლიჯეს. ამის მიუხედავად, ადგილზე დარჩა მოტოციკლი, რომლის მფლობელის დადგენა მარტივი იყო, თუმცა სამართალდამცავები მაინც ზერელედ ეკიდებოდნენ ყველაფერ ამას და... სწორედ ეს მამაკაცი ქალაქის განაპირას მიმდინარე მშენებლობაზე გარდაცვლილი იპოვეს. ექსპერტმა მოგვიანებით თქვა, რომ მამაკაცი ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლეს და სავარაუდოდ, ეს ბლაგვი საგანი ჩაქუჩი, ან ნაჯახის მეორე მხარე იყო.

„საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო. მანამდე, მეც მესმოდა მოტოციკლისტებით დაზარალებული ადამიანების შესახებ, მაგრამ საქმე ჩემამდე არ მოსულა და ვერ ჩავერეოდი. აი, მკვლელობის საქმე მე მომცეს და შესაბამისად, ჩემზე იყო დამოკიდებული, როდის დასრულდებოდა ქალაქში მოტოციკლისტების თარეში“, – გვიამბობს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პირველ რიგში, გარდაცვლილის ორი მეზობელი დაკითხეს. საქმე ის გახლდათ, რომ მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, სწორედ მათ უთხრა მოკლულმა, ზუსტად ვიცი, ვინ არიან ის მოტოციკლისტები, მათი მეთაურის ვინაობაც ვიცი და მილიციაში მივდივარ, განცხადება და სახელები უნდა დავწეროო. მეზობლებმა ჰკითხეს, ჩვენც გვითხარიო, თუმცა გარდავლილმა არაფრის თქმა ისურვა, მალე ყველაფერს გაიგებთო და სადარბაზოში შევიდა. მას ტანსაცმელი უნდა გამოეცვალა და განყოფილებაში წასულიყო, თუმცა ცოცხალი უკვე აღარავის უნახავს. ეჭვი გაჩნდა, რომ ის მეზობლებმა ჩაუშვეს, მაგრამ ორივე მეზობელი ერთმანეთისკენ იშვერდა ხელს, ამან იცოდა, იმან იცოდა... რეალურად, იცოდა ორივემ, მაგრამ არცერთი ჩანდა ისეთი, მოტოციკლისტებისთვის ხელი დაეფარებინათ და მათი ვინაობა რომ სცოდნოდათ, მილიციაშიც პირველები მივიდოდნენ. დაიწყო იმ მოტოციკლის შესწავლა, რომელიც გარდაცვლილმა თავდამსხმელებს წაართვა. მისი სახელმწიფო ნომრის მიხედვით, მფლობელის ვინაობის დადგენა მარტივზე მარტივი გახლდათ. გამომძიებელმა თან სამი ოპერმუშაკი იახლა, რადგან ეგონა, რომ დაკავების დროს, შეიძლებოდა, დამნაშავეს წინააღმდეგობა გაეწია.

„ბინის კარზე დავაკაკუნე და ქალმა გამიღო. ვკითხე ახალგაზრდა ბიჭის სახელი და მიპასუხა, ჩემი შვილიაო. მაშინვე ვუთხარი, არ გინდათ ახლა წივილ-კივილი, თქვენი შვილი მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, მისი მოტოციკლი ამოღებულია, როგორც ნივთმტკიცება და ამიტომ, გვითხარით, სად არის-მეთქი. ქალმა გაოცებით შემომხედა, მერე კარი ფართოდ გააღო და ოთახზე მანიშნა, იმ ოთახშია ჩემი ბიჭი, შედით, დააპატიმრეთო. ოპერმუშაკები წინ გავუშვი, ისინი შევარდნენ და... ეტლში ახალგაზრდა ბიჭი იჯდა, რომელსაც ერთი ფეხი ბარძაყთან ჰქონდა მოჭრილი. გაოცებისგან ყბა ჩამომივარდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„მოტოციკლი შარშან ვიყიდეთ. არ მინდოდა, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა შვილმა. მერე ავარიაში მოჰყვა, ტრამვაის შეასკდა, ქვეშ შეუვარდა და ფეხი გადაუჭრა. მოტოციკლი გავყიდეთ, დამტვრეული იყო, მაგრამ იმდენი მოგვცეს, ეტლის საყიდლად გვეყო. არც ნომრები მოგვიხსნია და არც გადაგვიფორმებია, პროფილაქტიკაში მიიტანა ჩემმა ქმარმა და დატოვა. თუ ფიქრობთ, რომ ეს არის მკვლელი, დააპატიმრეთ“, – ქალს ცრემლები წამოსცვივდა. გამომძიებელი, ოპერებთან ერთად, უკან გაწბილებული გამობრუნდა, მაგრამ იმ სახელოსნოს მისამართი ჩაიწერა, სადაც დამტვრეული მოტო დატოვეს.

„მეორად ნაწილებს მუდმივად ვიბარებ, სახელებსა და გვარებს ვიწერ, პასპორტის მონაცემებს, ვინმე რამეს თუ მაბარებს, მილიცია რომ მოდის, ვეუბნები, ვინ რა მომიტანა და თუ მოპარულია, მე სუფთა ვარ. ის მოტო მახსოვს, ვიღაც კაცმა მოიტანა, პასპორტის მონაცემები ჩავიწერე, გავარემონტე და გავყიდე. აი, ვინ იყიდა, წარმოდგენა არ მაქვს, მყიდველების მონაცემებს არ ვიტოვებ, რისთვის მჭირდება?“ – განაცხადა ხელოსანმა და ერთი წლის წინანდელი ჩანაწერი აჩვენა. ჩანაწერის მიხედვით, მოტო სახელოსნოში სწორედ იმ ბიჭის მამამ მიიტანა, რომელმაც ფეხი დაკარგა, მაგრამ ვინ იყიდა? ან ხელოსანმა რატომ არ მოხსნა ნომრები? მაგრამ მას ამაზეც პასუხი ჰქონდა, ნომრები მოვხსენი, აქვე, ნაგავში ეყარა, სხვა ნომერიც ბევრი მიყრია, მგონია, რომ „უჩოტიდან“ მოხსნილი ტრანსპორტი მოჰყავთ. რომელი სულელი დამიტოვებს ნომერს, რომელიც მის სახელზეაო, მაგრამ ცხადი იყო, იმ მოტოს მოქმედი სანომრე ნიშნები ჰქონდა და ისინი ისევ ძველ მფლობელზე ირიცხებოდა. გამოძიებას ეს ძაფიც წაუვიდა ხელიდან.

იმ უბნებში, სადაც მოტოციკლისტები ყველაზე ხშირად ჩნდებოდნენ, სამართალდამცავებმა პატრულირება დაიწყეს. მათ უმკაცრესი ბრძანება ჰქონდათ – საჭიროების შემთხვევაში, გამოეყენებინათ ცეცხლსასროლი იარაღი, ოღონდ მოტოციკლი დაეზიანებინათ და არა მისი მფლობელები. ამიტომ, საპატრულოდ ის ძალოვნები გავიდნენ, რომლებიც სხვებზე უკეთ ისროდნენ, გამომძიებელმა კი გარდაცვლილი მამაკაცის ცოლ-შვილი დაკითხა. გოგონამ, რომელიც 20 წლამდე იქნებოდა, პირდაპირ თქვა, მამასთან გადასარევი ურთიერთობა არ მქონდა, ძალიან მკაცრი იყოო, ცოლმა კი ცრემლები გადმოყარა, ჩემთვის არ უთქვამს, ვის მიაგნო, ან საიდან გაიგო იმ მოტოციკლისტის ვინაობა, ვინც იმ არამზადებს მეთაურობსო. უმცროსი ბიჭი 8 წლის იყო და რა თქმა უნდა, მას საერთოდ არაფერი ეცოდინებოდა. გამომძიებელმა ოჯახი დაამშვიდა, გაძლიერებული პატრულირება დავიწყეთ და დამნაშავეებს აუცილებლად დავაკავებთო...

პატრულირებამ სამი დღის განმავლობაში შედეგი არ მოიტანა. მოტოციკლისტები თითქოს არასდროს არსებობდნენ, სავარაუდოდ, ისინი ვიღაცამ გააფრთხილა. ერთკვირიანი პატრულირების შემდეგ, ძალოვნებმა ტყუილად აქეთ-იქეთ სიარულს თავი დაანებეს და... მეორე დღესვე, მოტოციკლისტებმა მორიგი თავდასხმა მოაწყვეს. გამომძიებელთან ადგილობრივი უბნის რწმუნებული მივიდა და პირდაპირ უთხრა – „მომეცით უფლება, ტაბელური იარაღი ღამე თან მქონდეს და აუცილებლად დავიჭერ რომელიმეს. ვცადე შიშველი ხელებით, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ისინი ბევრნი იყვნენ და მომერივნენ, ჩემი განყოფილების უფროსი კი იარაღს სამუშაო დღის ბოლოს სამსახურში მატოვებინებს. სხვებზე ნაკლები სროლა არ ვიცი და გპირდებით, არავის დავაზიანებ“. გამომძიებელმა განყოფილების უფროსთან უშუამდგომლა და ორი დღის შემდეგ, შეტყობინებაც შევიდა – უბნის რწმუნებულმა ორი მოტოციკლისტი დააკავა. შემთხვევის ადგილზე ოპერატიული ჯგუფი გავიდა და ორივე დაკავებული – გოგონა და ბიჭი განყოფილებაში მიიყვანეს. გოგონას დანახვაზე გამომძიებელმა გაოცებისგან შეჰყვირა – მის წინ... გარდაცვლილი მამაკაცის შვილი იდგა.

„რა უნდა ვთქვა? მამამ მთელი ცხოვრება მომიწამლა, არსად მიშვებდა, არაფრის უფლებას არ მაძლევდა. მოტოციკლისტები შემთხვევით გავიცანი, ჩანთა გამტაცეს, მეორე დღეს კი ამ ბიჭმა, რომელიც მათი მეთაური იყო, უკან მომიტანა, სტუდბილეთზე შენი ფოტო ვნახე, ძალიან მომეწონე და ვიმეგობროთო. ასე დაიწყო ნამდვილი ცხოვრება, თავგადასავლებით სავსე, ბოლოს და ბოლოს, მე ვიღაცას დავჭირდი. არ ვიცი, საიდან და რა გაიგო მამაჩემმა, მაგრამ იმ დღეს, სახლში რომ მოვიდა, მხიარულად თქვა, ვიცი, ბანდის მეთაური ვინც არის, სახელიც მითხრა და მივხვდი, ზუსტად იცოდა. ლამის დავუჩოქე, ჩემი შეყვარებულია, შეეშვი-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. მერე ჩაქუჩი ავიღე, როცა გასვლას აპირებდა, ზურგიდან მივეპარე და მთელი ძალით ჩავარტყი. მერე შეყვარებულს დავურეკე, გვამი მან და მისმა მეგობრებმა წაიღეს, იქაურობაც მოვასუფთავე. მე ვარ დამნაშავე, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ეს უბედნიერესი კვირეები იყო“, – განაცხადა გოგონამ.

მისი სიტყვები დაკავებულმა ბიჭმაც დაადასტურა, მეგობრების ვინაობაც დაასახელა და ბავშვივით ტიროდა, ითხოვდა, ოღონდ, არ დამხვრიტოთო. სასამართლომ ყველა მათგანს 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მამის მკვლელს კი 11 წელი მისცეს. რატომ ასე ცოტა? საბჭოთა სასამართლო ქალების მიმართ განსაკუთრებით ლმობიერი იყო და ყოველთვის ცდილობდა, მათთვის მეორე შანსი მიეცა.

სისხლიანი სასიყვარულო სამკუთხედი

ვინ იყო რესტორნის დირექტორი, რომელიც საკუთარ კაბინეტში მოკლული იპოვეს

ბათო ჯაფარიძე

როგორც უნდა ვატრიალოთ, პატიმართა უმრავლესობა სასჯელს ქალის გამო იხდის. აქ საუბარი არ გვაქვს ძალადობაზე (თუმცა, ბოლო დროს, ეს დანაშაულიც არ არის გამონაკლისი), პატიმრების უმრავლესობა ამბობს, რომ ფული ქალისთვის სჭირდებოდა, ცოლისთვის, საცოლესთვის, შეყვარებულისთვის, უბრალოდ, მეგობარი გოგონასთვის... ციხეში მოხვედრის მიზეზს რა დალევს, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან ბევრი მიზეზად სწორედ ქალს ასახელებს. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, ოფიციალურად ქალი დამნაშავე არ ჰყავს, თუმცა ეს ოფიციალური ვერსიაა და რეალურად, გამომძიებლებიც, პროკურორიც, მოსამართლეც დარწმუნებულები იყვნენ, რომ მთავარი მიზეზი სწორედ ქალი გახლდათ.

ყველაფერი თითქოს ძალიან ბანალურად დაიწყო – ერთ-ერთი პატარა, მაგრამ მუშა რესტორნის მფლობელი საკუთარ კაბინეტში გარდაცვლილი იპოვეს. მას ერთადერთი ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი და თითქოს მკვლელიც თანამშრომლებმა ადგილზე დააკავეს.

„ხორცის ახალი პარტია მოვიტანე, არ მომეწონა, არ ვიტოვებდი, დირექტორთან შევედი და ამ დროს, ოთახში მისი მოადგილე დავინახე, ხელში იარაღი ეჭირა, დირექტორი კი მკვდარი იყო. მან იარაღი დააგდო და გაქცევა დააპირა, მაგრამ ფეხი დავუდე, რომ წაიქცა, ზემოდან მოვექეცი და ყვირილი დავიწყე. ყვირილზე სხვა თანამშრომლებიც მოვიდნენ და ხელები შევუკარით, შემდეგ მილიცია გამოვიძახეთ“, – ასე ეწერა მზარეულის ჩვენებაში, რომელიც მან ადგილზე მისცა.

„ჩემთან ოფიციანტი გოგონა მოვიდა და მითხრა, რომ შეფი მეძახდა. მეც კაბინეტში შევედი, კარი ნახევარად ღია იყო, ამიტომ არ დამიკაკუნებია, მაგრამ ფანჯრებზე ფარდა იყო ჩამოფარებული და ბნელოდა. ფეხი რაღაცას დავადგი, სილუეტით მივხვდი, რომ დირექტორი სავარძელში იჯდა. ის, რასაც ფეხი დავადგი, ხელში ავიღე და თან შუქი ავანთე. ამ დროს დავინახე, რომ დირექტორი მკვდარი იყო, მე კი ხელში პისტოლეტი მეჭირა. სწორედ ამ დროს, ოთახში მზარეული შემოვიდა, ყვირილი ატეხა, მე ინსტიქტურად გაქცევა დავაპირე, მან კი დამიჭირა და სანამ მილიცია მოვიდოდა, ლამის ლინჩის წესით გამასამართლეს“, – ეს კი მოადგილის ჩვენება იყო.

რესტორნის თანამშრომლები ერთხმად ამბობდნენ, რომ ახალგაზრდა მოადგილე დირექტორის ასევე, ახალგაზრდა ცოლს ეკურკურებოდა, 60 წელს გადაცილებულ დირექტორს პენსიაზე გაშვებას უპირებდა და არა მარტო რესტორნის, არამედ, ცოლის წართმევაც სურდა. თანამშრომლები მართალს რომ ამბობდნენ, იქიდან ჩანდა, რომ გარდაცვლილის გვერდით, სკამთან ფოტო ეგდო, რომელზეც სწორედ დირექტორის ცოლი და მისი მოადგილე რომელიღაც რესტორანში, მაგიდასთან იყვნენ აღბეჭდილნი, ერთმანეთს ძალიან თბილად უყურებდნენ და თან ხელებით ეხებოდნენ. გამოდიოდა, ცოლი დირექტორს ღალატობდა, რაზეც თავად ქალმა კატეგორიული უარი განაცხადა, რა ღალატი, ქმრის საქმეებზე მესაუბრებოდა, მოხუცდა, ბევრ რამეს ვერ აკონტროლებსო და ამიტომ ვხვდებოდიო. რამდენად იყო ეს მართალი, გამოძიებას უნდა დაედგინა, რადგან თუ ისინი საყვარლები იყვნენ, ეს იქნებოდა მოტივიც და თანაც, რესტორნის დირექტორობა მაშინ... თუნდაც მცირე რესტორნის, ძალიან დიდი პრივილეგია და ფული იყო. სამართალდამცავებმა ოფიციანტი გოგონა დაკითხეს, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა, მე რა შუაში ვარ, მოადგილეს დირექტორი კაბინეტში რომ უხმობდა, ჩვენმა მუსიკოსმა, კონკრეტულად კი მედოლემ მითხრაო. თავის მხრივ, მედოლემ აღიარა, დირექტორთან იმიტომ ვიყავი, რომ დოლი გამიფუჭდა, ზედა მხარე გაეხა და ხელოსანთან უნდა წამეღო, ამას კი 15-20 მანეთი სჭირდებოდა და მე რატომ უნდა გადამეხადა, ვიღაცამ აქ გააფუჭა დოლი, ამიტომ ფული ვთხოვე, მომცა და თან დამავალა, ჩემს მოადგილეს დაუძახეო. მედოლემ ისიც თქვა, დირექტორი ამას რომ მეუბნებოდა, ხელში რაღაც ფოტოს ატრიალებდა და ძალიან ნერვიულობდაო. მედოლეს გზად ოფიციანტი შეეფეთა, რომელსაც დირექტორის ნათქვამი გადასცა, თავად კი ხელოსანთან გაიქცა, რომელიც რესტორნიდან, დაახლოებით, 400 მეტრში მუშაობდა და დოლი დაუტოვა, უკან დაბრუნებულს კი ეს ამბავი დახვდა. ის, რომ მედოლეს ხელში დოლი ეჭირა და ეჩქარებოდა, ოფიციანტმაც დაადასტურა. ყველა გზა მოადგილისკენ მიდიოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ძალიან სულელურად ჩანდა. თუ ის იყო მკვლელი, მზარეულის დანახვაზე იარაღს კი არ მოისროდა და გაიქცეოდა, პირიქით, მზარეულს დააშინებდა და ისე გაიკვლევდა გზას. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნით, მოადგილის ხელებზე დენთის კვალი იყო, მაგრამ არა იმ ოდენობით, რომ ევარაუდათ, გასროლის შემდეგ დარჩაო. ექსპერტს დასკვნაში პირდაპირ ასე ეწერა – სავარაუდოდ, სუბიექტმა იმ იარაღს მოჰკიდა ხელი, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ გაისროლეს და დენთის კვალიც ამიტომ აჰყვაო.

მომხდარიდან მეორე დღეს, დაკავებულმა ახალი არაფერი თქვა. არადა, გამოძიებას სხვა ეჭვმიტანილი ფიზიკურად არ ჰყავდა, მოადგილე კი ბოლო ხმაზე ტიროდა, დამნაშავე არ ვარ, არ მომიკლავსო და მისი სიტყვების ძალოვნებსაც თითქოს სჯეროდათ, მაგრამ რა უნდა ექნათ? კულუარულად მოიკითხეს და გაიგეს, რომ გარდაცვლილის პენსიაზე გასვლის შემთხვევაში, მის ერთადერთ მემკვიდრედ... მოადგილე მოიაზრებოდა ანუ სხვას, წესით, არც მოტივი უნდა ჰქონოდა და არც – სურვილი. მით უმეტეს, აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი მოკლულს დადებითად ახასიათებდა, ხელფასის გარდა, ისედაც გვიხდიდა, გულს არავის გვწყვეტდაო. დაკავებულმა დირექტორის ცოლთან ურთიერთობაზე პირდაპირ თქვა, მომწონს, მიყვარს, ვეუბნებოდი, ქმარს დაშორდი და ცოლად გამომყევი, მაგრამ ამაში კრიმინალური არაფერია, ქალი შემიყვარდა და მისთვის ვიბრძოდი, ოღონდ არა პისტოლეტითო.

საინტერესო იყო კიდევ ერთი დეტალი – გასროლის ხმა ვერავინ გაიგო და ესეც დიდ კითხვის ნიშანს აჩენდა. მუსიკოსი იმ დროს დოლის გასაკეთებლად იყო ანუ ანსამბლი არ უკრავდა, დირექტორის კაბინეტიდან დარბაზამდე არცთუ დიდი მანძილი გახლდათ და დახურულ სივრცეში გასროლას მეხის გავარდნის ხმა უნდა მოჰყოლოდა. არადა, ყველა იფიცებოდა, გასროლის ხმა არ გაგვიგიაო. მომხდარიდან სამი დღე იყო გასული, გამოძიებას ისევ მხოლოდ მოადგილე ჰყავდა დაკავებული, მაგრამ ისეთი სამხილებით, ნებისმიერი ადვოკატი სასამართლოზე ბრალდების მხარეს საქმეს თავზე გადაახევდა. მოულოდნელად, დაკავებულმა გამომძიებელთან შეხვედრა ითხოვა და დაბნეულად თქვა, შემთხვევის ადგილზე წამიყვანეთ, შუქი რომ ავანთე, თითქოს, რაღაც ისე არ იყო, თითქოს, რაღაც გაქრა და იქნებ, იქ გავიხსენო, რა დამაკლდა თვალშიო. ბრალდებული ამბობდა, დირექტორის კაბინეტს ხუთი თითივით ვიცნობ, შუქის ასანთებიც მარტივად ამიტომ ვიპოვე, მთელი დღეებია, მხოლოდ ამაზე ვფიქრობ და იქ არ იყო რაღაც, რასაც ყოველდღე ვხედავდიო. გამომძიებლებმა თანხმობა განაცხადეს, ისიც იფიქრეს, მოადგილე გაქცევას აპირებსო და ამიტომ, გაძლიერებული დაცვით წაიყვანეს. ერთი საათი იდგა დაკავებული დირექტორის ოთახში, ერთი საათი ათვალიერებდა იქაურობას, ბოლოს მხრები აიჩეჩა და ჩუმად თქვა, მეგონა, რამე მნიშვნელოვანი გამახსენდებოდა, მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ დივანზე მუდმივად ბალიში იდო და ახლა არ არისო. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს, რადგან დაკავებულმა ორი რამ ახსნა – პირველი ის, რომ ახლა ცხადი გახდა, რატომ ვერ გაიგეს დანარჩენებმა გასროლის ხმა და მეორე – მოადგილე დამნაშავე არ იყო, რადგან ბალიშის გატანას ვერ მოასწრებდა, ის მზარეულმა დააკავა. გამოდიოდა, რომ მკვლელმა ბალიში იარაღს ააფარა და ისე გაისროლა, შემდეგ კი ის კაბინეტიდან გაიტანა, მაგრამ როგორ? გამორიცხული იყო, ვინმეს არ შეემჩნია საკმაოდ მოზრდილი ბალიშით მიმავალი კაცი თუ ქალი. რა თქმა უნდა, ადგილზე ხმამაღლა არაფერი თქვეს და განყოფილებაში დაბრუნდნენ, თუმცა მოადგილეს გზაში აუხსნეს, რომ მას ყველა ბრალდებას მოუხსნიდნენ, მაგრამ დრო სჭირდებოდათ იმისთვის, რათა ნამდვილი დამნაშავე არ დაეფრთხოთ ანუ ყველაზე ცუდ შემთხვევაში, დაკავებულს 24 საათი კვლავ განყოფილებაში გააჩერებდნენ, ოღონდ არა საკანში, არამედ, კაბინეტში დასვამდნენ, საკვებს და მოვლას არ მოაკლებდნენ, რაზეც ის სიხარულით და... ცრემლებით დათანხმდა. გამოძიებას კი 24 საათი ჰქონდა მკვლელის დასადგენად.

სასწრაფო წესით დაიწყეს ყველა თანამშრომლის პირადი საქმის შესწავლა და აღმოაჩინეს, რომ მედოლე და გარდაცვლილის ცოლი ერთი სოფლიდან გახლდნენ და მეტიც – თანაკლასელები იყვნენ. სასწრაფოდ მოიძიეს სოფელში მათი ამბავი და გაარკვიეს, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ შემდეგ გოგომ ბებერ მდიდარზე გადაწყვიტა გათხოვება. გამომძიებლებს გაფუჭებული დოლიც გაახსენდათ, რესტორანში წავიდნენ და მედოლესთან ერთად, მისი ინსტრუმენტიც წამოიღეს. ის მაშინვე ექსპერტიზაზე გაგზავნეს, მედოლეს კი დაკითხვა დაუწყეს. ექსპერტიზამ დაადასტურა – დოლის შიგნითა მხარეს დენთის კვალია და არის რამდენიმე ბუსუსი, რომელიც მოკლული დირექტორის კაბინეტში არსებული დივნის გადასაფარებლის იდენტურია. ეს უკვე ძალიან მყარი სამხილი იყო და მედოლეც ალაპარაკდა.

„როცა ჩემი ცხოვრების მთავარი სიყვარული გათხოვდა, თითქოს ბედს შევეგუე, მაგრამ რამდენიმე თვის წინ, სოფელში იყო ჩამოსული და ტირილით მითხრა, აღარ შემიძლია იმ ბებრის გვერდით ცხოვრება, თან მისი მოადგილეც არ მაძლევს მოსვენებასო. მან მომაწყო მედოლედ იმისთვის, რომ როგორმე მოგვეფიქრებინა, რისი გაკეთება შეიძლებოდა. სურათი მე გადავიღე, მკვლელობის გეგმაც მე მოვიფიქრე, ჩემმა შეყვარებულმა არაფერი იცოდა, ამ საქმეში ნუ გარევთ. მეგონა, იდეალური გეგმა მქონდა, ბალიშიც მე გავიტანე და გადავაგდე, მაგრამ რას ვიზამთ“, – მოკლედ მოჰყვა საქმის არსს დაკავებული.

მან არ გაამხილა, საიდან ჰქონდა იარაღი და ეს საქმე გაუხსნელი დარჩა. სამაგიეროდ, მის მიერ ჩადენილი მკვლელობა მოსამართლემ 12-წლიანი თავისუფლების აღკვეთით შეაფასა. მკვლელის გასამართლებიდან ერთ წელში, მოადგილემ, რომელიც უკვე რესტორნის დირექტორი იყო, ცოლად... ყოფილი დირექტორის ქვრივი მოიყვანა.

ბათო ჯაფარიძე

იმას, რასაც ახლა ბიზნესს ვეძახით, ადრე კონტრაბანდა და სპეკულანტობა ერქვა. ახალმა თაობამ არც იცის, რომ ნორმალური სიგარეტის, ჯინსის, ან კარგი ფეხსაცმელის ყიდვა გადამყიდველებთან იყო შესაძლებელი და თუ სამართალდამცავები დაიჭერდნენ, მყიდველ-გამყიდველი ერთნაირად ისჯებოდნენ. მაგალითად, ამერიკული „მალბოროს“, „ქემელის“ და სხვა სიგარეტების შეძენა ბოშებთან შეიძლებოდა, ტანსაცმელს, ძირითადად, ის ადამიანები ჰყიდდნენ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო, საზღვარგარეთ დადიოდნენ (ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, უცხოურ მისიებში წასული სპეციალისტები). ასე განსაჯეთ, წამალიც კი ძნელად საშოვნელი იყო და მედიკამენტებისთვის თბილისელ ებრაელს, მეტსახელად, „ჩაშკას“ აკითხავდნენ. არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია „ჩაშკას“ წამლებს.

„მთელი ცხოვრება მძულდი და ათჯერ რომ მქონდეს შანსი, ათჯერ მოგკლავდი“

დიდი ტრაგედია აფხაზეთში – რატომ მოკლა ძმამ ძმა

ჰოდა, ადამიანები რისკავდნენ, ცდილობდნენ, როგორმე, საბჭოთა კავშირის დახურულ საზღვრებში შემოეპარებინათ რამე და შემდეგ აქ სარფიანად გაეყიდათ. მთავარი შემოტანა იყო, თორემ უცხოურ საქონელს მუშტარი მუდმივად ჰყავდა. განსაკუთრებით გაცხოველებული ვაჭრობა იყო აფხაზეთის რეგიონში, სადაც უცხოური გემები ხშირად ჩერდებოდნენ, ჩამომსვლელებმაც იცოდნენ, რომ საკუთარი ქვეყნის ნაწარმს საბჭოთა რუბლზე სარფიანად გაყიდდნენ და ხელდამშვენებულნი მოდიოდნენ მზიან სანაპიროზე. ყველაფერი ეს სამართალდამცავებმაც კარგად იცოდნენ, ამიტომ ხშირად აწყობდნენ ჩასაფრებებს და ისე ნუ გაიგებთ, მხოლოდ კანონის დაცვის გამო წვალობდნენ – ამოღებული საქონლის უდიდეს ნაწილს მილიციის თანამშრომლები თუ მესაზღვრეები ადგილზე ინაწილებდნენ და განყოფილებაში მხოლოდ მცირე ოდენობა მიჰქონდათ. დაკავებულებიც ხმას არ იღებდნენ, რადგან რაც უფრო ცოტა იყო კონტრაბანდა, მით ნაკლები იყო სასჯელი და პირობითი სასჯელითაც შეიძლებოდა გამომძვრალიყვნენ.

80-იან წლებში, ადგილობრივ მილიციასა და მესაზღვრეებს ორი ძმა უშრობდა სისხლს. ისინი მამით ერთნი იყვნენ, დედით – სხვადასხვა. აფხაზ კაცს მეუღლე ავარიაში დაეღუპა და ხელში თოთო ბავშვი შერჩა, წლისთავზე ისევ იქორწინა და მეორე ცოლთანაც ბიჭი შეეძინა. ძმები ერთად გაიზარდნენ, საქმეც ერთად დაიწყეს და რაღა თქმა უნდა, ერთმანეთს თვალდახუჭულები ენდობოდნენ. მათთან ერთად იყო კიდევ ერთი, ბავშვობიდან მათთან შეზრდილი ქართველი, რომელიც ასევე, კონტრაბანდაში იყო ჩართული. ბედისა თუ უბედობის გამო, სამართალდამცველებმა სამეული ვერასდროს ვერ მოიხელთეს. იცოდნენ ხოლმე, სად უნდა გაევლოთ, ტყეში ჩასაფრებას უწყობდნენ, მაგრამ სამი მეგობარი ისე ქრებოდა, მათ კვალს ვერ პოულობდნენ. ამის მიზეზი მერე და მერე გაიგეს მესაზღვრეებმა – რამდენიმე ადგილზე მიწისქვეშა ოთახები ჰქონდათ გამზადებული, ზედმეტად კარგად შენიღბული და სწორედ იქ იმალებოდნენ, შემდეგ კი უკან ამოძვრებოდნენ და გზას მშვიდად აგრძელებდნენ.

ძმებს ქალაქის განაპირას მცხოვრები უკრაინელი დები უყვარდათ. იძახდნენ კიდეც, ერთად გადავიხდით ქორწილსო და დებს ხშირად სტუმრობდნენ, რჩებოდნენ, ყველამ იცოდა, რომ მათი საქმროები იყვნენ და არავის თუ არაფერს ერიდებოდნენ. მათი მეგობარი კი ამ დროს ქალაქში, საკუთარ სახლში, მშობლებთან იყო, ძმებს ხელს არ უშლიდა. ძმების დაკავების ბრძანება არაერთხელ გაიცა, რამდენჯერმე აიყვანეს კიდეც, ჩხრეკაც ჩაატარეს, მაგრამ ვერაფერი უპოვეს, საერთოდ ვერაფერი. ამიტომ, ძალოვნები იძლებულნი ხდებოდნენ, ეჭვმიტანილები მტკიცებულებების უქონლობის გამო გაეთავისუფლებინათ. უფროსი ძმა საკუთარ შემოსავალს ჰაერში ფანტავდა, ფულს წინ და უკან აფრიალებდა, ხელგაშლილი იყო, მისი ნახევარძმა კი, აგროვებდა და ამბობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, საცოლესთან ერთად, რომელიმე გემს ევროპაში გაჰყვებოდა და სამუდამოდ იქ დარჩებოდა.

ერთ დღეს, ძმებს მორიგი საქონელი მოჰქონდათ, როცა წინ, სამი შეიარაღებული პირი გადაუდგათ. მათ შაშხანები მიუშვირეს სამივეს და სანამ ისინი რამის გაფიქრებას მოასწრებდნენ, სროლაც დაიწყეს. მეგობრები გაიფანტნენ, მაგრამ სანამ დაიმალებოდნენ, უმცროსმა ძმამ დაინახა, როგორ ესროლა მისმა ქართველმა მეგობარმა უფროს ძმას, მაგრამ ააცილა. დაწყნარებულ გუნებაზე, როცა მდევარს თავი დააღწია, დაფიქრდა და გადაწყვიტა – ესენი მესაზღვრეები არ იყვნენ, ჩვეულებრივი კრიმინალები გახლდნენ, რადგან მათ არც ის დაიყვირეს, ხელები მაღლა აწიეთო, არც გამაფრთხილებელი გასროლა გააკეთეს ჰაერში, სამივეს პირდაპირ, დამიზნებით, მოსაკლავად ესროლეს. რადაც უნდა დაჯდომოდა, უმცროს ძმას ქართველი მეგობარი უნდა ეპოვა და პასუხი მოეთხოვა. იცოდა, უფროსი ძმა სადაც უნდა მოენახა და იმ ადგილისკენ გასწია. როცა ადგილზე მივიდა, დაიმალა და გაოცებისგან პირი დააღო – იქვე ახლოს, სამალავში, სწორედ ქართველი მეგობარი წამოწოლილიყო. ზურგიდან მიეპარა, თავზე დაახტა და უმოწყალოდ სცემა. მოულოდნელი თავდასხმის მიუხედავად, ქართველი აზრზე მალე მოვიდა, მოწინააღმდეგე მიწაზე გააკრა და ბოლო ხმაზე უყვირა – „რას აკეთებ, მოღალატე მე კი არა, შენი უფროსი ძმაა, იმან გაგვიმეტა!“

უმცროსი ძმა გაჩერდა, სხვა გზა არც ჰქონდა, ქართველს მისი ხელები კარგად ეჭირა და ამოიხრიალა – „მოყევი და თუ ზღაპარს მომიყვები, მოგკლავ!“ ქართველმაც დაიწყო: „ხომ გახსოვს, როცა მოვდიოდით, შენმა ძმამ რამდენჯერმე სიგარეტზე მოკიდება სცადა, სანთებელა აანთო, ჩააქრო, აანთო, ჩააქრო. კიდევ აანთო და ჩააქრო, მერე კი სიგარეტი შეინახა, აქაოდა, მესაზღვრეების ძაღლები სიგარეტის სუნს გრძნობენო. არასდროს, არასდროს მოვქცეულვართ ასე, რომ გზაზე სიგარეტი მოგვეწია, რადგან ვიცით, რომ სუნი დიდ მანძილზე მიდის და არ შეიძლება. მერე, სანამ იმათ მივუახლოვდებოდით, ვინც გვესროლა, შევნიშნე, შენმა ძმამ ფანარი აანთო და ჩააქრო, ამით ანიშნა, ვისთვის არ უნდა ესროლათ. მოღალატე სწორედ შენი ძმაა, თორემ მე რომ ვიყო, რა მიშლის ხელს, მოგკლა? იმან გაგვწირა და რატომ გაგვწირა, ერთად უნდა გავარკვიოთ“.

ამ სიტყვების შემდეგ, ქართველმა აფხაზ მეგობარს ხელი გაუშვა, იმანაც თავი დახარა და ამოილუღლუღა – „მგონი, მართალი ხარ, მაგრამ რატომ?!“ მეგობრები მიხვდნენ, რომ მოღალატე სამალავთან არ მივიდოდა, ან თუ მივიდოდა, მარტო არ იქნებოდა, ამიტომ იქაურობას გაეცალნენ და სოფლის განაპირას წავიდნენ, ბიჭს აინტერესებდა, მისი საცოლე თუ იყო საქმის კურსში. სახლი გარედან დაზვერეს და მიხვდნენ, რომ იქ ქალების გარდა, კიდევ ვიღაც იყო, რადგან ფარდებს იქეთ, ფანჯარაში, რამდენიმე სილუეტი ჩანდა. თვალთვალის შემდეგ დაადგინეს, ყველაზე ცოტა, სახლში ოთხი მამაკაცი იმყოფებოდა და აქედან მხოლოდ ერთს, მათ მეგობარს იცნობდნენ, დანარჩენები კი უცხოები იყვნენ. მეორე დილით, ეზოში უმცროსი ძმის საცოლე გამოვიდა. ბიჭმა საფარიდან ჩუმად დაუძახა, გოგონამ გამოიხედა, თავი დაიქნია და შინ შებრუნდა. დაახლოებით, ერთ საათში, კალათით გამოჩნდა და ტყის გზას შეუყვა. როცა ტყეში მიიმალა, ბიჭი ქართველ მეგობართან ერთად გზაზე გამოვიდა და საცოლეს გადაეხვია.

„ამიხსენი, რა ხდება? შენი ძმა მოვიდა ვიღაც უცხოებთან ერთად, აშკარად კრიმინალები არიან, ხელები სვირინგებით აქვთ მოხატული. შენ გელოდებიან, ასე თქვეს, აუცილებლად მოვა, საქმეზე დარჩა ქალაქშიო“, – სულმოუთქმელად მიაყარა გოგომ. ძმა საბოლოოდ დარწმუნდა ძმის ღალატში, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ კბილებამდე შეიარაღებულ ოთხ კაცს ის და მისი ქართველი ძმაკაცი ვერ გაუმკლავდებოდნენ. ამიტომ, ისევ ტყეში დარჩენა და თვალთვალი არჩია. მამაკაცები სახლიდან არ გამოდიოდნენ, პროდუქტის საყიდლადაც ქალებს უშვებდნენ და ასე გავიდა სამი დღე. მეოთხე დღეც დაღამდა, როცა მეგობრებმა სახლთან მიახლოება გადაწყვიტეს და სწორედ ამ დროს, ქალების კივილი გაიგონეს. კივილი წამებში შეწყდა, თუმცა ბიჭებისთვის ეს საკმარისი იყო, ისინი სახლის კართან მივიდნენ, მიაწვნენ, შეაღეს და იქვე, კედელზე აყუდებული თოფები მოიმარჯვეს. საძინებელ ოთახში, სამ მამაკაცს უმცროსი ძმის საცოლე ჰყავდათ ლოგინზე გაშიშვლებული და გაუპატიურებას ცდილობდა. სროლა და ძიძგილაობა ერთად ატყდა, დამხვდურები დროზე ვერ გაერკვნენ, რა მოხდა და როცა გაერკვნენ, ორი დაჭრილი ეგდო, ერთი – მკვდარი. ბიჭი საცოლეს გადაეფარა, ამშვიდებდა, ქართველი მეგობარი კი მთავარი მოღალატის მოსაძებნად მეორე ოთახში გავიდა და ტყვიასაც შეეგება – უფროსი ძმა მომზადებული დახვდა, ტყვიამ მუცელში გაუარა და კართან ჩაიკეცა. სროლის ხმამ უმცროსი ძმა აზრზე მოიყვანა, თოფი გადატენა და ოთახში შევარდა. ორი გასროლის ხმა ერთდროულად გაისმა და ორივე ძმა ჩაიკეცა. ისინი დაჭრილები, მაგრამ ცოცხლები იყვნენ, დებმა იარაღი წაართვეს, იცოდნენ, სროლის ხმაზე მეზობლები მილიციას გამოუძახებდნენ და რაც მალე მოვიდოდნენ სამართალდამცავები, მით მეტი შანსი იყო დაჭრილების გადარჩენის. მილიციის მოსვლამდე უმცროსმა ძმამ უფროსს ჰკითხა – „რატომ?“

„იმიტომ, რომ შენ უმცროსი იყავი და ყველა შენ გეფერებოდა. იმიტომ, რომ დედაშენს შენ უფრო უყვარდი და მე ამას ვგრძნობდი. იმიტომ, რომ შენ ათასები გაქვს დაგროვილი, მე კი არაფერი. მთელი ცხოვრება მძულდი და ათჯერ რომ მქონდეს შანსი, ათჯერ მოგკლავდი“...

ექიმებმა უფროსი ძმის გადარჩენა შეძლეს, უმცროსის – ვერა. გადარჩა ქართველი მეგობარიც და სამი კრიმინალიდან – ორი. ყველას სასამართლო რამდენიმე თვეში შედგა და სხვადასხვა სასჯელით, ყველა ციხეში გაისტუმრეს. წლების შემდეგ, როცა ისინი გათავისუფლდნენ, უფროსი ძმა ტყვიით მკვდარი იპოვეს. ვიღაც ამბობდა, ქართველმა მეგობარმა იძია შურიო, მაგრამ ოფიციალურად, ის იმ დროს რუსეთში იყო, ვიღაცამ ისიც თქვა, გარდაცვლილი ძმის საცოლემ მოკლაო. სიმართლე ბოლომდე ვერავინ გაიგო და დღემდე, უმცროსი ძმის სამალავს, სადაც როგორც ამბობენ, ათი ათასობით მანეთს ინახავდა, ვერავინ მიაგნო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და ბათუმში კიბერდანაშაულისთვის სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, თბილისსა და ბათუმში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ჯგუფის მიერ კომპიუტერული სისტემის ხელყოფის ბრალდებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამი პირი: 1973 წელს დაბადებული ა.ს., 1984 წელს დაბადებული ვ.ე. და 1971 წელს დაბადებული მ.წ. დააკავა, ხოლო ერთ პირს, უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1990 წელს დაბადებულ ე.მ.-ს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა – ე.მ.-მ და ა.ს.-მ მოქალაქეთა პირად მონაცემებში უნებართვოდ შეაღწიეს და სხვადასხვა ანგარიშზე არსებული თანხა, როგორც მათ კუთვნილ, ასევე, თანამზრახველების – მ.წ.-სა და ვ.ე.-ს ანგარიშებზე გადარიცხეს

კიბერდანაშაულის შედეგად, ფინანსური ზარალი 24 მოქალაქეს მიადგა, რაც 9 000 ლარს აღემატება.

პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საბერძნეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შორის უწყებათაშორის საერთაშორისო შეთანხმებას მოეწერა ხელი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი ნიკოლოზ შარაძე, საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მარია თეოდორუს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ხელი მოაწერეს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეების NATO-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში – „ზღვის მცველი“ მონაწილეობისას, საბერძნეთის საზღვაო ძალების ხომალდებზე განთავსებასთან დაკავშირებით, უწყებათაშორის საერთაშორისო შეთანხმებას. ამ შეთანხმების მიზანია, დაარეგულიროს ორმხრივი ვალდებულებები საბერძნეთის საზღვაო ძალების ხომალდებზე NATO-ს საზღვაო ოპერაცია „ზღვის მცველის“ (OSG) ფარგლებში, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ტაქტიკური ქვედანაყოფის ასვლის, განთავსების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დეტალებთან დაკავშირებით.

საბერძნეთი იყო პირველი სახელმწიფო რომელმაც, მზაობა გამოთქვა, NATO-ს ოპერაციის ფარგლებში, საკუთარი საზღვაო ძალების ხომალდებზე საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ტაქტიკური ქვედანაყოფი განეთავსებინა.

2022 წლის მაისში, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა საქართველო საზღვაო ოპერაცია „ზღვის მცველის“ (OSG) ოპერაციულ პარტნიორად აღიარა.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველო გახდა უფლებამოსილი შეიტანოს საკუთარი კონტრიბუცია NATO-ს ოპერაციაში და მხარდაჭერა აღმოუჩინოს ალიანსს საზღვაო უსაფრთხოების კუთხით.

საქართველო, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და კვლავ ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, 2023 წლის 15 ივნისს, გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოს მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შეფასების უმაღლეს საფეხურზეა და კვლავ ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს.

ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველო ძალისხმევას არ იშურებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და განაგრძობს მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და გამოძიების კუთხით.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მთავრობა შესაბამის ღონისძიებებს ატარებს ტრეფიკინგის პრევენციისთვის და არ იშურებს ძალისხმევას მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს მიერ, ეფექტიანად ხორციელდებოდა ტრეფიკინგის წინააღდეგ ბრძოლის მიმართულებით სამართალდაცვითი ღონისძიებები, პოზიტურადაა შეფასებული სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის ჩადენისთვის დაწესებული სასჯელები და ყურადღება გამახვილებულია ტრეფიკინგთან დაკავშირებით, სამართალდამცავი უწყების მიერ განხორციელებულ გამოძიებებზეც.

ანგარიშში კვლავ დადებითად ფასდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2021 წლის ივნისში შესული ცვლილებები, რომელთა საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობა მიეცა, ტრეფიკინგის მსხვერპლები უზრუნველყოფილნი იქნან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით.

ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქვეყანაში ფუნქციონირებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სპეციალიზებული დანაყოფები, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში არსებული ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო და მისი ექვსი მობილური ჯგუფი.

დოკუმენტში, ასევე, ყურადღება გამახვილებულია აჭარის რეგიონში მოქმედ სპეციალისტთა ჯგუფის – ე.წ. TASK FORCE-ის საქმიანობაზე, რომელიც დაკომპლექტებულია სპეციალიზებული გამომძიებლებითა და პროკურორებით.

ანგარიშში პოზიტიურადაა შეფასებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და შრომის ინსპექციას შორის განახლებული მემორანდუმის გაფორმება, რომელიც მიზნად ისახავს იძულებითი შრომის შემთხვევების გამოვლენას, მობილური ჯგუფებისა და შრომის ინსპექციის დანაყოფების მიერ, ერთობლივი შემოწმებების ჩატარების გზით.

ასევე, ყურადღება გამახვილებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და შრომის ინსპექციის მიერ ჩატარებულ ერთობლივ ინსპექტირებებზე.

აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უწყებები, მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიზნით, იყენებენ რელევანტურ, სტანდარტულ, ოპერაციულ პროცედურებსა და გაიდლაინებს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ კვლავაც დადებითად ფასდება შინაგან საქმეთა სამინისტროში ტრეფიკინგის დანაშაულთან საბრძოლველად მოქმედი ცხელი ხაზი, სადაც შესაძლებელია ტრეფიკინგთან დაკავშირებით ზარების განხორციელება.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ყველა კურსანტი გადის ტრეფიკინგის საკითხებზე სასწავლო კურსს.

აგრეთვე, მითითებულია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა გამომძიებლების, მობილური ჯგუფების წევრების, სასაზღვრო პოლიციის, პროკურორების, შრომის ინსპექტორების, მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე.

დოკუმენტში საუბარია იმ გარემოებაზეც, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ანგარიშს ტრადიციულად თანდართული აქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის გაუმჯობესებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული, ი.ც., პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულის მიერ დაქირავებულ სალონში დასაქმებული პირები, თანხის სანაცვლოდმ კლიენტებს სექსუალურ მომსახურებას უწევდნენ, მიღებულ ანაზღაურებას კი, ი.ც.-ს სისტემატურად უნაწილებდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

მოვიგეთ, მაგრამ წინ ალესილი შოტლანდია გველის

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, ევროპის 2024 წლის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ტურში კვიპროსი დაამარცხა. მოდით, პირდაპირ ვთქვათ– ეს იყო მატჩი, რომელშიც მეტოქის ფეხბურთელებს ცოტა უფრო მაღალი საშემსრულებლო კლასი რომ ჰქონოდათ, აუცილებლად მოგვიგებდნენ. იმდენ შეცდომას, რამდენიც ჩვენმა გუნდმა დაუშვა, შოტლანდია არ გვაპატიებს და სქოთებს 20 ივნისს გლაზგოში ვსტუმრობთ, თან იმ შოტლანდიას ვეთამაშებით, რომელმაც საწყის სამ ტურში სამივე შეხვედრა მოიგო და ცხრილის ერთპიროვნული ლიდერია. ორი ტურის შემდეგ წაგება არ აქვს საქართველოს ნაკრებსაც, ერთი ფრე და ერთი მოგება, ანუ 20-ში ჯგუფის ორი დაუმარცხებელი ნაკრების ჯახია, რაც ყურს აშკარად კარგად ხვდება და ტუ ამ მატჩის შემდეგ, დაუმარცხებელი ჯგუფში მხოლოდ საქართველო იქნება, ბევრად ბედნიერი იქნება ერიცა და ბერიც.

რაც შეეხება უშუალოდ კვიპროსთან მატჩს. მოგვიტეოს ვილი სანიოლმა, მაგრამ აბსოლუტურად ყველა შეტევას ჩვენი გუნდი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე იწყებდა და არსად ჩანდა მწვრთნელის მეირ დახაზული ტაქტიკა თუ სტრატეგია. პირველი გოლიც გიორგი მიქაუტაძემ სწორედ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გაიტანა, ინდივიდუალურად ივარგა მეორე გოლის ავტორმა ზურიკო დავითაშვილმა. მეტოქემ კი, ლამის ყველა სტანდარტული მდგომარეობა კარში დარტყმით დაასრულა და ორჯერ თუ ხარიხამ გვიხსნა, რამდენჯერმე გიორგი მამარდაშვილმა ისეთი ბურთი აიღო, მკვდარი რომ ჰქვია.

ყველაფრის მიუხედავად, იმედს ვიტოვებთ, რომ შოტლანდიასთან ბევრად სხვა გუნდს ვიხილავთ, თორემ ასე შანსი არ გვექნება. და ერთიც – ქართველ გულშემატკივარს ცხოვრებაში პირველად გაუხარდა თემურ ქეცბაიას მარცხი. კვიპროსის ნაკრების თავკაცი მანამდეც ამბობდა, საქართველოს წინააღმდეგ თამაში არანაირად არ მინდოდაო, მაგრამ ეს სპორტია და წარმატებები თემურს!

მამარდაშვილზე „ვალენსიასთვის“ ოფიციალურად არავის მიუმართავს

ყველაზე პოპულარული ესპანური გამოცემა Marca ქართველ კიპერზე, გიორგი მამარდაშვილზე წერს. გამოცემის მტკიცებით, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, „ვალენსია“ იძულებულია, რამდენიმე ლიდერი გაყიდოს, მათ შორის, უპირველესად მამარდაშვილი, რომელზე მოთხოვნაც დიდია. აი, რას წერენ ესპანელები:

„მამარდაშვილის სატრანსფერო ფასი 50 მილიონი ევროს ფარგლებში იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ღამურებმა“ სეზონი ჩააგდეს, მეკარის ფასიც დაეცა და ის ახლა 20-25 მილიონი ღირს. მიუხედავად იმისა, რომ არაოფიციალურად, ქართველის დამატება რამდენიმე კლუბს სურს, „ვალენსიასთვის ოფიციალურად არავის მიუმართავს. არადა, ტრანსფერი რომ რეალურია, იქიდანაც ჩანს, რომ მეკარის ქართველი აგენტი ლევან სეთურიძე ვალენსიაშია, იქ ცხოვრობს და კონკრეტულ პირებსაც ხვდება. საუბარი ინგლისური პრემიერლიგის წარმომადგენლებზეა, რომლებიც დიდი ხანია, მამარდაშვილის თამაშს აკვირდებიან“...

როგორც ამბობენ, სეთურიძის გარდა, მამარდას ტრანსფერში სხვა აგენტებიც მონაწილეობენ და უდიდესი ალბათობით, გიორგი ახალ სეზონს ახალ კლუბსა და ჩემპიონატში დაიწყებს. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ფინანსურ მდგომარეობაშია „ვალენსია“, კლუბს არც მომავალ სეზონში უნდა ჰქონდეს დიდი ამბიციები და წლევანდელის მსგავსად, უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებას უნდა შეეცადოს.

მიქაუტაძე „იუვენტუსის“ რადარზეა

საფრანგეთის მეორე ლიგაში მოასპარეზე „მეცმა“ პირველი ლიგის საგზური მოიპოვა და მომავალ სეზონს უძლიერესთა შორის დაიწყებს. ამის მიუხედავად, ყველა ხვდება, რომ „მეცი“ გუნდისა და მთლიანად პირველობის ბომბარდირს, მეორე დივიზიონის სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ გიორგი მიქაუტაძეს ვერ შეინარჩუნებს, რადგან ამ დონის ფორვარდი მოკრძალებული კლუბისთვის ზედმეტი ფუფუნებაა. მით უმეტეს, ქართველს ინგლისური კლუბები იწვევენ, მაგრამ ახლა ბაზარზე ახალი მოთამაშე გამოჩნდა და ძალიან დიდია იმის შანსი, რომ მიქაუტაძემ კარიერა იტალიის ყველაზე ტიტულოვან კლუბში, ტურინის „იუვენტუსში“ გააგრძელოს.

„ბებერ სინიორას“ გასული სეზონი ჩაუვარდა – გუნდს 10 ქულა ჩამოაკლეს და ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად, ტურინელები კონფერენსლიგაზე იასპარეზებენ. თუმცა, მომავალი სეზონისთვის ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად, სწორედ „იუვენტუსი“ სახელდება, მაგრამ... გუნდს ყველაზე მეტად გაძლიერება თავდასხმაში სჭირდება და მიქაუტაძე მათთვის იდეალური ვარიანტია. იტალიური და ზოგადად, ევროპული მედია არ მალავს, რომ ტურინული კლუბის აგენტები ქართველი ფეხბურთელის გარშემო სვავებივით ტრიალებენ და შეეცდებიან, გიორგი „მეცს“ მაშინ აართვან, როცა ამას დანარჩენი კლუბების წარმომადგენლები ყველაზე ნაკლებად ელიან. შემდეგ კი... იტალიაში ქართული დუელი აუცილებლად იქნება და ეს ყველაფერი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ძალიან წაადგება.

„ნაპოლის“ რუდი გარსია გაწვრთნის

ყველასთვის მოულოდნელად, იტალიის ჩემპიონის მთავარ მწვრთნელად, ფრანგი სპეციალისტი, რუდი გარსია დაინიშნა. მოულოდნელად იმიტომ, რომ „ნაპოლის“ ბევრად ცნობილ სპეციალისტებს უკავშირებდნენ, საუბარი იყო ლუის ენრიკეზე, ზინედინ ზიდანზე... და უცებ, რუდი გარსია. ამ მწვრთნელის ბოლო სამუშაო ადგილი არაბული „ალ ნასრი“ გახლდათ, კლუბი, სადაც კრიშტიანუ რონალდუ თამაშობს. როგორც ამბობენ, სწორედ პორტუგალიელს არ მოსწონდა გარსიას ტაქტიკა-სტრატეგია და კლუბის წარუმატებლობებსაც მას აბრალებდა. ხელმძღვანელობამაც რონალდუს სურვილი გაითვალისწინა და გარსიას წითელი აუნთო.

ყველა თანხმდება, რომ გარსიას ხელში, ნეაპოლელებს ჩემპიონობის შენარჩუნება კი არა, ოთხეულში მოხვედრაც კი გაუჭირდება. ჩვენ ყველაზე მეტად ხვიჩა კვარაცხელიას მომავალი გვაინტერესებს. იმის ფონზე, რომ „ნაპოლიდან“ ლიდერები გარბიან, კლუბი ხვიჩას სათრევი იქნება და რამდენად მოახერხებს ამას ქართველი ვარსკვლავი, ძნელი სათქმელია. „ნაპოლის“ პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი, ჩვეულებრივი ბიზნესმენია, მას არ აქვს შორს მიმავალი გეგმები და არ ფიქრობს კლუბის ისტორიაზე. მისთვის მთავარია, ამ საქმემ ანუ ამ ბიზნესმა, კონკრეტული თანხა დაუწეროს და წელს ეს გადასარევად მოახერხა. ახლა კი, კიმ მინ ჯეს გაყიდვიდან მიღებულ 50 მილიონ ევროს, ვიქტორ ოსიმენის სატრანსფერო ფულიც თუ დაემატება, ურიგო არ იქნება. დე ლაურენტისი, ნიგერიელის სანაცვლოდ, 120 მილიონს ითხოვს, რაც მასში გადახდილ თანხაზე 50 მილიონით მეტია.

ცნობისთვის, გარსიას საყვარელი სქემა 4-2-3-1 გახლავთ, თუმცა თუ კონკრეტულ მატჩში ეს სქემა არ ამართლებს, გუნდი 4-3-3-ზე გადაჰყავს. ორივე შემთხვევაში, კვარაცხელიას ადგილი, წესით, მარცხენა ფლანგზე უნდა იყოს, მაგრამ არავინ იცის, რას მოიგონებს და მოიმოქმედებს გარსია, რომელსაც იტალიაში მუშაობის გამოცდილება აქვს – მან დედაქალაქური „რომა“, მეორე ადგილზე ორჯერ გაიყვანა. ერთადერთი იმედი, რასაც ნეაპოლელი გულშემატკივრები ებღაუჭებიან, ის არის, რომ თავის დროზე, რუდი გარსიამ, ყველასთვის უცნობი „ლილი“ საფრანგეთის ჩემპიონი გახადა და სენსაციაც გამოაცხო.

მეგობრობაც ასეთი უნდა – სტირლინგი დვალიშვილს გზას უთმობს

UFC-ში სუპერმსუბუქი წონის ჩემპიონი ალჯაიმენ სტირლინგი გახლავთ. მან ქამარი მყარად შემოირტყა წელზე და არავის უთმობს. არადა, წონის პირველი ნომერი ჩვენი მერაბ დვალიშვილია, პრომოუტერები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ რინგზე სტირილნგის წინააღმდეგ დაეყენებინათ, რაზეც ორივე სპორტსმენი კატეგორიულ უარს ამბობდა – ისინი დიდი ხნის მეგობრები არიან და ერთმანეთის ცემა არ სურდათ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ UFC-ის შეფი დანა უაითი სპორტსმენებს მოკვეთით ემუქრებოდა, თუმცა პრობლემა სტირლინგმა მოაგვარა.

„მალე შონ ომალისთან ჩხუბი მელოდება. ამ ბრძოლის შემდეგ, წონას შევიცვლი, რადგან 33 წლის ვარ და წონის კონტროლი სულ უფრო მიჭირს. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ დასრულდება ეს ორთაბრძოლა, მე ასპარეზობას სხვა წონაში გავაგრძელებ და თუ ქამარს შევინარჩუნებ, ის უბრალოდ ვაკანტური იქქნება“, – განაცხადა სტირლინგმა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ომალისთან გამარჯვების შემთხვევაში, ქამრის მთავარი პრეტენდენტი, სწორედ დვალიშვილი გახდება, ხოლო თუ სტირლინგი წააგებს, ქამრისთვის ჩხუბი... მაინც მერაბ დვალიშვილს მოუწევს, როგორც წონის პირველ ნომერს.

„ბარსელონაც“ დაეცა – კლუბი არაბებზე იყიდება

კატალონიურ „ბარსელონას“ ფინანსური პრობლემები რომ აქვს, ახალი ამბავი არაა. იმის მიუხედავად, რომ გუნდის პრეზიდენტმა, ხუან ლაპორტამ პირობა დადო, პრობლემას მოვაგვარებო, რეალურად, ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო და ახლა იძულებულია, კლუბის აქციების 49% გაყიდოს. არადა, აქციები კლუბის „სოციოს“ წევრებს ეკუთვნით, გადაწყვეტილებებსაც ისინი იღებენ და წლების განმავლობაში, „ბარსელონა“ სარეკლამო წარწერას არ იკეთებდა მაისურზე, რაც დამოუკიდებლობისა და ფინანსური სიძლიერის სიმბოლო იყო. მერე და მერე, ყველაფერი შეიცვალა, ახლა კი...

„საუდის არაბეთში კონკრეტული მიზნით მივდივარ. ინვესტორებს უნდა ვესაუბრო და კლუბის 49% შევთავაზო. ვნახოთ, ამ საქმიდან რა გამოვა. გადაწყვეტილების მთავარი მიმღები ისევ „სოციოს“ წევრები იქნებიან, მათ აქციების საკონტროლო პაკეტი ექნებათ“, – განაცხადა ლაპორტამ, მაგრამ...

ყველა დიდი კლუბის მცდელობა, რომ არაბებს აქციების 49% ეყიდათ, უშედეგოდ დასრულდა. ისინი ან ყველაფერს ითხოვენ, ან – არაფერს და ეჭვი გვაქვს, ლაპორტასაც იგივე წინადადებას წაუყენებენ, რასაც სხვებს – ან 100%-ს მოითხოვენ, ან არაფერს.

რა ხიბლი აქვს პრემიერის სავარძელს

მე-3 გვერდიდან

ასეთი მაგალითები იმდროინდელ სახელმწიფო მინისტრებთან მიმართებაში არაერთი შეიძლება მოიძებნოს.

ერთადერთი და გამორჩეული პერსონა იმ შემადგენლობაში ნიკო ლეკიშვილი იყო, რომელიც ჭითანავასეულად დაიმუქრა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, ამ კარებიდან გავალ და სხვა კარებიდან შემოვალო. შემოვიდა კიდეც და პარლამენტში იჯდა დიდი ხნის განმავლობაში „დონ კორლეონედ“ შერაცხული. ლეკიშვილის ფენომენი ნამდვილად განსაკუთრებულია საქართველოსთვის და ადამიანურად ისაა საინტერესო, თანამედროვე ქართველი მილიონრების დიდი ნაწილი თუ უმადლის ბატონ ნიკოს მათ დღევანდელ სტატუსს? სწორედ ლეკიშვილმა უწინამძღვრა მილიონებისკენ ხაზარაძიდან დაწყებული ჩხარტიშვილით დასრულებული მრავალ დამსახურებულად ნიჭიერ თუ კვაზიგენიოს პერსონას. განა, მხოლოდ ბიზნესწრეების ელიტა უნდა უმადლოდეს ლეკიშვილს საკუთარ სოციალურ სტატუსს, არამედ ბევრი პოლიტიკოსი და თვით მიხეილ სააკაშვილიც. ის ხომ მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორული გუნდის ხან ღია და ხან ფარული მხარდამჭერი იყო. იმდროინდელი რეფორმატორებისთვის რომ გეკითხათ, ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურიდან სწორედ ლეკიშვილი იყო. აზროვნებას რაც შეხება, „თბილისელ კაცსა“ და „ნაღდ ქალაქელს“ ამას ნამდვილად ვერ დაუწუნებდა ადამიანი. უბრალოდ, მართლაც რომ საინტერესოა, მადლიერების რა კოეფიციენტს იჩენენ მის მიმართ ბიზნეს და პოლიტპროტეჟეები.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღდგენილ პრემიერის ინსტიტუტს კი ცუდი ბედი „დაანათლა განგებამ“. როგორც იქნა, ამ პოსტზე პოლიტიკოსი აღმოჩნდა, ზურაბ ჟვანიას სახით და ის თავისი პიროვნული ავტორიტეტით ნამდვილად აბალანსებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას. ახლა ბევრს ბჭობენ, გახდებოდა თუ არა სააკაშვილი უზურპატორი, ჟვანია რომ არ გარდაცვლილიყო, თუმცა ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამაზე არ არსებობს. ერთადერთი, რაც ნამდვილად ცხადია, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება სხვა სახით განვითარდებოდა – კარგად თუ ცუდად ამაზე მსჯელობაც უაზრობაა. ჟვანიასთან დაკავშირებით სააკაშვილის ხელისუფლების შეცდომა ნამდვილად იყო ის, რომ მან ვერ მოახერხა პრემიერის გარდაცვალების ფაქტისთვის კითხვის ნიშნები ჩამოეშორებინა, თუმცა ვეჭვობ, ეს კითხვის ნიშნები, რა სახითაც უნდა წარიმართოს სამომავლოდ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიება, ოდესმე მოიხსნას.

აი, ჟვანიას შემცვლელი ზურაბ ნოღაიდელი კი მართლაც განსაკუთრებით საინტერესო ფიგურა იყო ამ პოსტისთვის. თავი დავანებოთ მის მიმართ ხალხში დამკვიდრებულ ეპითეტებსა და კახელების აღშფოთებას: „ე, მანდ წმინდა ცხოველს როგორ აკადრეთ ამ კაცის შედარებაო“. ნოღაიდელმა მხოლოდ ამით არ დაამახსოვრა თავი საქართველოსა და განსაკუთრებით საკუთარ თანაგუნდელებს. არც იმით, პუტინმა, რომ დასდო პატივი და მას გადადგომის შემდეგ რამდენჯერმე ჩამოართვა ხელი. არამედ, საკუთარი მინიმალური ავტორიტეტით. რა თქმა უნდა, ეს სააკაშვილს აწყობდა და სრულებითაც არ სურდა, რომ ამ პოსტზე პოლიტიკური ამბიციების მქონე პერსონა ჰყოლოდა, თუმცა 2006 წელს, შუალედური საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც ქობულეთში კენჭს კობა ხაბაზი იყრიდა, მეფუტკრე პოლიტიკოსმა იცით, სად წააგო არჩევნები? – მხოლოდ ნოღაიდელის სოფელში. მაშინ სააკაშვილმა რამდენიმე კაცის თანდასწრებით ისეთი „დითირამბები“ უძღვნა პრემიერ-მინისტრს, რომ, როგორც ხალხში იტყვიან, ნოღაიდელს ეს ამბავი რომ ამცნეს, მინიმუმ, ერთი უნდა ეთავაზებინა „ჩაცუცქულთმოძულე“ სააკაშვილისთვის. მაგრამ რა ვუყოთ თანამდებობით ტკბობის სენს? თუმცა, ეს ქვეყანა ვის შერჩენია, რომ ნოღაიდელს შერჩენოდა და ისიც წავიდა.

რაც შეეხება ლადო გურგენიძის პრემიერობას, ცოდვა გამხელილი სჯობს და მას ყველაზე ნაკლებად სურდა ამ პოსტზე ყოფნა. რამდენიმე თვის განმავლობაში გურგენიძემ პოლიტიკაში ყოფნით უფრო მეტი დაკარგა – როგორც თავისთვის, ასევე ქართული საბანკო სექტორის განვითარების საზიანოდ, ვიდრე პრემიერობით შეიძინა. იმ დროისთვის, საქართველოს ყველაზე წარმატებული ბანკის პირველი პირის გაპრემიერებამ, გურგენიძეს მნიშვნელოვნად აურია პირადი გეგმები, თუმცა გურგენიძე მართლაც ერთადერთი პრემიერი იყო „ვარდების ხელისუფლების“ მმართველობის პერიოდში, რომელსაც, თუ მისი საქმეების აქტივებს გავანულებთ, არც არაფერი გაუფუჭებია. არ იყო ეს მისი საქმე და რა ძალისხმევა დაუჯდა პოსტიდან წასვლა, ამაზე საუბარი ახლა შორს წაგვიყვანს.

გეგა მგალობლიშვილს პრემიერობა კი არათუ საქართველოსთვის, მისთვისაც საცოდაობა იყო. ეს ახალგაზრდა კაცი ნამდვილად იმსახურებს პიროვნულ სიმპათიას, მაგრამ, როდესაც პრემიერობას თანხმდებოდა, მინიმუმ იმას უნდა მიმხვდარიყო, რომ „ბავშვობიდან მანდ არ იჯდა“. მოვერიდები იმ პერიოდისთვის ხალხში მოარულ ხმებს და მხოლოდ ერთს გავიხსენებ: „შენ მართლა პრემიერი ხომ არ გგონია თავი, ბიჭო?“ მერე, 2009 წელს „სამკურნალოდ წასვლა“ ამერიკაში და როგორც იქნა, გეგამაც ამოისუნთქა. ის ნატო-ში საქართველოზე უფრო ადრე „შევიდა“, მართალია, ელჩის სტატუსით, მაგრამ ამით მინიმუმ ათასი უსიამოვნება აარიდა საკუთარ თავს და საჭორაო თემები – საქართველოს ენაჭარტალათა დიდ არმიას. მგალობლიშვილის აქტივების დათვლა მართლაც რომ არ ღირს, რაც შეხება პასივებს, ეს უფრო პერსონალური ხასიათისაა და ამაზე საჯარო საუბარი ნამდვილად არ მიმაჩნია ეთიკურად.

ნიკოლოზ გილაური, ანუ ნიკა... კარგი იუმორით, კარგი განათლებითა და იდეებით, მაგრამ არც გილაური ყოფილა პოლიტიკოსი. ენერგეტიკისა და ფინანსთა წარმატებული მინისტრი სრულიად ჩაიკარგა პრემიერის რანგში და ეს არც იყო გასაკვირი. ქვეყანას ხომ რეალურად სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია და უგულავა მართავდნენ, თუმცა გილაურმა მართლაც მოახერხა, რომ საკუთარი თანმიმდევრული სტრატეგიით თეთრ ყვავად არ გამოჩენილიყო. ის არ ერეოდა პოლიტიკაში და მორჩილად უკრავდა თავს პოლიტლიდერებს. „თერგდალეული“ გილაური მაქსიმალურად ერიდებოდა მედიას, ნაკლებად მუშაობდა საკუთარ პიარზე, მაგრამ შიდა სამზარეულოში მან არაერთხელ გამოიყენა კარნეგის მეთოდი და პრეზიდენტი ბევრჯერ დაიყოლია ქვეყნისთვის სასიკეთო ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ანუ თავის იდეებს სააკაშვილს მის ინიციატივად აცნობდა. გილაურის სიჭკვიანეზე ის ფაქტორიც მეტყველებს, რომ მის მიმართ, ფაქტობრივად, პრეტენზიები არ ჰქონია ახალ ხელისუფლებას.

ვანო მერაბიშვილი – „ვარდების ხელისუფლების“ უკანასკნელი პრემიერი. მისი გაპრემიერება სააკაშვილის ახირება იყო და არა – მერაბიშვილის სურვილი. მაშინ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ მიშამ ვანო დაასუსტა. რეალურად ვანო კი არა, საკუთარი თავი დაასუსტა. სააკაშვილს მინიმუმ უნდა გაეთვალა, რომ გამბიტი „მერაბიშვილი-ახალია“ და ხელისუფლების შიგნით ამ ორი „ცენტრის“ შექმნა სასიკეთო შედეგებამდე არ მიიყვანდა. ჟვანიას შემდეგ მერაბიშვილი იყო ის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც პოლიტიკური წონა ჰქონდა.

ბიძინა ივანიშვილი – კაცი რომელმაც საქართველო შეცვალა...

მოკლედ ასეა, პოლიტიკურად დამოუკიდებელი პრემიერ-მინისტრი საქართველოსთვის მხოლოდ გაელვებითი ხვედრი ყოფილა. სამომავლოდ რამდენად სასარგებლო, ეს უკვე მომავალი განსჯის საკითხია“.

სამართლიანობისთვის ერთიც უნდა აღინიშნოს: საზოგადოებას ყველაზე ნეგატიურად თენგზი სიგუას პრემიერობა დაამახსოვრდა.

რატომ?

ამ კითხვაზე პასუხს გაზეთ „მერიდიანში“ 1999 წელს გამოქვეყნებული სტატია სცემს, რომელშიც ვკითხულობთ (შეგახსენებთ – 1999 წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. წინამდებარე წერილი სწორედ არჩევნების წინაა გამოქვეყნებული. აქვე, იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამ არჩევნებში თენგიზ სიგუა მონაწილეობას გეგმავდა):

„სიგუას უბედურება ის არის (რასაც თავად, რა თქმა უნდა, არასდროს შეურიგდება), რომ საქართველოს ისტორიაში იმ ეპოქას განასახიერებს, რომლის გახსენებაც აღარავის უნდა.

რამდენიც უნდა ილაპარაკონ 1991-92 წლების მოვლენებში ედუარდ შევარდნაძის, თენგიზ კიტოვანის ან ჯაბა იოსელიანის ბრალეულობის შესახებ, ობიექტური დამკვირვებლისათვის ცხადია, რომ იმ დროს ცენტრალურ ფიგურას სწორედ თენგიზ სიგუა წარმოადგენდა. სწორედ ის ახდენდა იმ იდეების გენერირებას, რასაც შემდგომ თენგიზ კიტოვანი ახორციელებდა. სიგუა-კიტოვანის ტანდემი კი 1992 წლამდე გაცილებით უფრო ძლიერი გახლდათ, ვიდრე შევარდნაძე-იოსელიანისა.

თენგიზ სიგუას „სახელისუფლო ფანატიზმი“ ბევრს აღიზიანებდა – თვით ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა შორისაც; მით უმეტეს, დღეს, როდესაც იმჟამინდელ მოვლენებთან დაკავშირებით „ანტიზვიადისტურ“ ბანაკშიც კი აღარ არის ერთგვაროვანი განწყობა – გამორიცხულია, თენგიზ სიგუამ „ამ ინერციით“ ან რაიმე „ახალი იდეებით“ პოლიტიკური წონა მოიპოვოს; და, საერთოდ, დაბრუნდეს პოლიტიკაში.

უფრო მეტიც, ყველა პოლიტიკური პარტია შეეცდება თენგიზ სიგუასთან დისტანცირებას, ვინაიდან მისი ფიგურა ამომრჩეველს მაინც შეახსენებს იმ მოვლენებს, რომელთა გახსენებაც არ უნდა – განურჩევლად იმისა, ეთანხმებოდა მათ მაშინ თუ არა;

„ახალი პოლიტიკოსი“ სიგუა ვერასგზით ვერ გახდება – იგი სამუდამოდ „მიება“ და მუდმივად იქნება ასოცირებული წარსულ ეპოქასთან. ისიც საკითხავია, რომელი ნიშა არსებობს (თეორიულადაც კი) სიგუასათვის ამჟამინდელი პოლიტიკურ „კარადაში“; სიგუა ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა. ვითომდა „მემარჯვენე პოზიციებიდან“ – ანტიდასავლური პოლიტიკის და „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ გამო ეკონომიკის სფეროში – აქაოდა, რეფორმებს არ ატარებს („როცა რუსეთი ამაში ხელს სრულებითაც არ უშლის“), სახელმწიფო კაპიტალიზმს (ესე იგი, განახლებულ სოციალიზმს) აშენებსო და ა.შ.

აქედან გამომდინარე, სიგუას დღევანდელი ალიანსი აშკარად მემარცხენე ძალებთან, მაგალითად, გოგი თოფაძის მრეწველთა პარტიასთან, – რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდს ლანძღვა-გინებით იკლებს – აშკარად აბსურდული იქნება. აბსურდული იქნება ამომრჩევლის თვალში, თორემ თვითონ ორგზის ექსპრემიერისათვის ნორმალურ და გამართლებული იქნებოდა ყველაფერი, რაც პოლიტიკაში დააბრუნებს.

„მემარჯვენე ფლანგზე“ კი ყველა ადგილი დაკავებული და უკვე განაწილებულია. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და მასთან გაერთიანებულ რესპუბლიკელებთან თენგიზ სიგუა ვეღარ მივა – არ მიიღებენ. ედპ-სთან მას ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა – ჯერ კიდევ გია ჭანტურიას დაპატიმრების დღიდან... 1992-93 წლებში სწორედ ედპ– ყოფილი მმართველი გუნდი იყო ინიციატორი ორი თენგიზის – სიგუასა და კიტოვანის თანამდებობიდან გადაყენებისა.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სიგუა თენგიზ კიტოვანის გარეშე, რომელიც უკვე თავისუფალია, ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავს. უაღრესად ნიშანდობლივი იყო ის ფაქტი, რომ სიგუა „მეგობარს“ ციხის კარებთან არ დახვდა. აქ „რაღაცაშია საქმე“ – როგორც საქართველოში იტყვიან ხოლმე; თუ „რაშია საქმე“ კონკრეტულად უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. ნებისმიერ შემთხვევაში, „თენგიზების ტანდემი“ ქართულ პოლიტიკაში ვერ დაბრუნდება. მათი ადგილი მხოლოდ ისტორიაშია“.

მოკლედ, ასეთია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეების ანუ მარტივად რომ ვთქვათ, პრემიერების მოკლე ანატომია.

დეზოდორანტი ლუდის მოყვარულებისთვის

დიდ ბრიტანეთში, მრავალჯერადი დეზოდორანტების ბრენდმა – Fussy, კომპანია BrewDog-თან ერთად, ახალი პროდუქტი გამოუშვა, რომელიც ქარვისფერი სასმელითაა შთაგონებული. ბრენდის დეზოდორები ნახშირბად-ნეიტრალურებია, არ შეიცავენ პლასტიკს და შეფუთვაც სრულად გადამუშავებადია.

„მას საოცრად ტროპიკული არომატი აქვს, რომლისგანაც ნამდვილი ლუდის სუნი მოდის“, – აცხადებს ბრენდის მარკეტინგის დირექტორი. ახალი დეზოდორანტის ღირებულება მხოლოდ 15 ევროა.

დაბალი ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ?

ჰავაის უნივერსიტეტის სწავლულებმა გამოკვლევა ჩაატარეს და გაარკვიეს, რომ დაბალი და საშუალო სიმაღლის ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მაღლები. ეს შედეგები მეცნიერებმა რამდენმე ათასი ამერიკელის გამოკვლევის შედეგად მიიღეს, რომელთა მშობლიურ ქვეყანასაც იაპონია წარმოადგენდა. მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს – პირველში აღმოჩნდნენ 158 სანტიმეტრზე დაბალი ადამიანები, მეორეში – 163 სანტიმეტრზე მაღლები. სტატისტიკამ აჩვენა, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა პირველი ჯგუფის მოხალისეებში უფრო მეტი იყო. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აქ საიდუმლო, შესაძლოა გენის – FOX3 არსებობაში იმალებოდეს. ეს სტრუქტურაა პასუხისმგებელი დღეგრძელობაზე, არეგულირებს სისხლში ინსულინს, აქვეითებს სიმსივნური დაავადებებისადმი მიდრეკლებას. საინტერესოა, რომ გამოვლენილი კანონზომიერება ადვილი შესამჩნევია არა მხოლოდ ადამიანებში, არამედ, ცხოველებსა და მწერებშიც კი. უახლოეს მომავალში, სწავლულები მსგავსი კვლევის ჩატარებას სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორისაც აპირებენ – ეს მათ უფრო ზუსტი ინფორმაციის მიღების საშულებას მისცემს.

SpaceX-ში მოზარდი დაასაქმეს

ილონ მასკის კოსმოსურ კომპანიაში, 14 წლის ბიჭი დაასაქმეს. კაირენ კვაზი მასკის იმ გუნდს შეუერთდება, რომელიც Starlink-ის თანამგზავრების პროგრამულ უზრუნველყოფაზე მუშაობს. კაირენმა ცოტა ხნის წინ დაამთავრა სანტა-კლარას უნივერსიტეტი კალიფორნიაში, სადაც ბაკალავრის სტატუსი მიიღო. 1851 წელს დაფუძნებული დაწესებულების ისტორიაში, ის ყველაზე ახალგაზრდა კურსდამთავრებულია – ბიჭი უნივერსიტეტში სასწავლებლად 11 წლის ასაკში მიიღეს. კაირენი ჯერ ჯიდევ ბავშვი იყო, როცა სასკოლო პროგრამა დაძლია. გარდა ამისა, მოზარდს უკვე აქვს მსხვილ კომპანიაში მუშაობის გამოცდილება პროგრამისტის თანამდებობაზე – ის სტაჟირებას გადიოდა Intel-ში, სადაც ხელოვნური ინტელექტის კვლევებით იყო დაკავებული. კაირენი, ასევე, ოთხი თვის განმავლობაში მუშაობდა Blackbird.AI-ში, კიბერუსაფრთხოების სფეროში.

აუქციონზე კლიმტის ბოლო შედევრს გაიტანენ

Sotheby's-ს აუქციონზე, ლონდონში, ავსტრიელი მხატვრის, გუსტავ კლიმტის უკანასკნელ პორტრეტს გაყიდიან. სურათის სავარაუდო ღირებულება 80 მილიონი დოლარია. ნახატს „ქალი მარაოთი“ (Dame Mit Fȝcher) ჰქვია. მასზე გამოსახული მანდილოსნის ვინაობა უცნობია. ეს ერთ-ერთი ნამუშევარია იმ ორიდან, რომელიც მხატვრის სახელონოში აღმოაჩინეს 1918 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ. აუქციონის სახლმა ამ ნამუშევარს კლიმტის „უკანასკნელი შედევრი“ უწოდა. ის მხატვარმა 1917 წელს შექმნა და ერთ-ერთია იმ მცირე რაოდენობის ნახატებს შორის, რომლებიც კერძო კოლექციებშია. ტილო ადრე ვენელ მეწარმე ერვინ ბელეს ეკუთვნოდა – კლიმტის მეგობარსა და მის მფარველს. მოგვიანებით, ის კოლექციონერმა რუდოლფ ლეოპოლდმა შეიძინა. სწორედ მისგან, 12 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, აღმოჩნდა „ქალი მარაოთი“ მისი ამჟამინდელი მფლობელის ხელში.

ბორის ჯონსონი ჟურნალისტიკაში დაბრუნდა

დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბორის ჯონსონს საკუთარი სვეტი ექნება ცნობილ გამოცემა Daily Mail-ში. საკუთარ წყაროზე დაყრდნობით, Politico Europe იუწყება, რომ ჯონსონის პირველი სვეტი უკვე ამ შაბათს უნდა დაიბეჭდოს პოპულარულ ყოველდღიურ გაზეთში. ჯონსონისთვის ეს პირველი რეგულარული ჟურნალისტური სამუშაო იქნება მას შემდეგ, რაც 2019 წელს, ის Daily Telelegraph-დან წავიდა. გამოცემისვე ინფორმაციით, ამ სამუშაოში ყოფილი პრემიერი ექვსნიშნა ჰონორარს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ახალ ავტორზე თავად გაზეთმაც მიანიშნა – რამდენიმე დღის წინ, გამოცემამ აღნიშნა, რომ ახალი, „საინტერესო და ერუდირებული“ მიმომხილველი ეყოლება.

3D კალამი ჭრილობის შესახორცებლად

სწავლულებმა ნანკინის უნივერსიტეტიდან, PAINT (portable bioactive ink for tissue healing)-ის ტექნოლოგია შეიმუშავეს, რომელიც პორტატული ბიოაქტიური მელანია, ქსოვილების შესახორცებლად. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი კალამი ექიმებს საშუალებას მისცემს, ჟელატინისებური სუბსტანცია პაციენტებს პირდაპირ ჭრილობაზე დაადონ – ნივთიერება ქსოვილის სწრაფ რეგენერაციას უწყობს ხელს. სამკურნალო პრეპარატი – სამგანზომილებიანი ბეჭდვის კალმით, ნებისმიერი ფორმისა და ზომის ჭრილობას ავსებს. ჭრილობაში სტიმულირდება პროლიფერაცია, კოლაგენის ბოჭკოების გამომუშავება და იმუნიტეტიც. ექსპერიმენტების დროს, რომელიც თაგვებზე ჩატარდა, PAINT-ს ტექნოლოგიით, დიდი ზომის ჭრილობები 12 დღეში შეხორცდა.

საეკლესიო მსახურება ხელოვნური ინტელექტისგან

გერმანიაში, ბავარიის მხარეში მდებარე ქალაქ ფიურტში, პროტესტანტულ-ევანგელისტური კირხენტაგის შეკრებაზე, მსახურება ხელოვნური ინტელექტის მქონე ჩატ-ბოტმა ჩაატარა. ის ავატარის სახით წარსდგა მრევლის წინაშე და ქრისტიანებს მოუწოდა, სიკვდილის არ შეშინებოდათ. ავატარი, რომელიც შავკანიან წვეროსან მამაკაცს წარმოადგენდა, ქადაგებას 40 წუთის განმავლობაში კითხულობდა. ჩატ-ბოტით მსახურების ჩატარება 29 წლის თეოლოგსა და ფილოსოფოსს, იონას სიმერლიაინს ეკუთვნის, ვენის უნივერსიტეტიდან. მისი აზრით, ხელოვნურმა ინტელექტმა სერიოზული საეკლესიო მსახურება ჩაატარა, მაგრამ ის ვერ შეცვლის ცოცხალ პასტორს, რადგან ეკლესიის მრევლს არ იცნობს.

54 წლის ნაომი პირველად გათხოვდა

ჰოლივუდის ვარსკვლავი ნაომი უოტსი პირველად გათხოვდა. ეს სასიხარულო ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავად მსახიობმა გაარცელა და თან ამ ბედნიერი დღის ფოტოებიც დაურთო. ვარსკვლავის რჩეული მისი კოლეგა, მსახიობი ბილი კრუდაპია, რომელსაც ნაომი ხუთი წლის განმავლობაში ხვდებოდა. პატარძალს Oscar De La Renta-ს ულამაზესი, მაქმანებიანი კაბა ეცვა, რომლის ღირებულება 7 400 აშშ დოლარია. აღსანიშნავია, რომ ჰოლივუდურმა წყვილმა, ქორწილის აღსანიშნავად, ხმაურიან წვეულებაზე უარი თქვა. ცერემონიაზე მხოლოდ მეგობრები და ახლობლები დაპატიჟეს. ახალდაქორწინებულებთან მისალოცად მივიდნენ გვინეტ პელტროუ, ლივ ტაილერი, ქეტი ჰოლმსი, მირანდა კერი, ჯასტინ ტერუ, ჟულიანა მური. ნაომის გათხოვება მისმა ყოფილმა შეყვარებულმა, ლივ შრაიბერმაც მიულოცა – უოტსი მასთან 11 წელი ცხოვრობდა და ორი ვაჟიც გაუჩინა, თუმცა მისგან ხელის თხოვნას მაინც ვერ ეღირსა.

ანტიბიოტიკებმა ენაზე თმა ამოუყვანა

ამომავალი მზის ქვეყანაში, 60 წლის ქალმა აღმოაჩინა, რომ ენაზე თმის ზრდა დაეწყო. წელიწადზე მეტია, რაც მას ნაწლავის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და ქიმიოთერაპიის კურსი დაუწყეს, ასევე დაუნიშნეს ანტიბიოტიკი – მინოციკლინი, რომელიც ქიმიის გვერდით ეფექტებთან ბრძოლაში უნდა დახმარებოდა. მკურნალობის დაწყებიდან ცოტა ხანში, ქალმა აღმოაჩინა, რომ ენა თითქმის გაუშავდა და გაუთმიანდა. მედიკოსებმა მას ენის პაპილების ქრონიკული ჰიპერტროფიის დიაგნოზი დაუსვეს, რაც ანტიბიოტიკის მიღებამ გამოიწვია. პრეპარატი სხვა მედიკამენტით ჩაანაცვლეს და ექვსკვირიანი მკურნალობის შემდეგ, როგორც იქნა, პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა. აღსანიშნავია, რომ წლების წინ, მსგავსი შემთხვევა შეერთებულ შტატებშიც დაფიქსირდა – 55 წლის ქალბატონს, რომელიც ავარიაში მოჰყვა, მკურნალობისას ანტიბიოტიკი დაუნიშნეს, რამაც ენის გათმიანება გამოიწვია.

ყავა დემენციის წინააღმდეგ

სწავლულებმა ყავის სამეცნიერი ინფორმაციის ინსტიტუტიდან (ISIC) დაასკვნეს, რომ ეს მატონიზირებელი სასმელი ამცირებს დემენციის განვითარების რისკს, რადგან ხელს უშლის ტვინში ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნას. კოფეინი ხელს უწყობს ადრენალინის გამომუშავებას, რაც ზრდის სისხლის ნაკადს გულიდან ორგანოებამდე. ამის შედეგად, ქსოვილებში მეტი ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები მიემართება. კოფეინი არ მოქმედებს უშუალოდ ტვინზე, ის არ აღწევს თავის ტვინის ჰემატოენცეფალურ ბარიერში. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ დღეში 3-5 ჭიქა ყავის დალევა ხელს უშლის ტვინში ფოლაქების წარმოქმნას, რაც დაკავშირებულია დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების განვითარებასთან. ყავაში შემავალი ორი ძირითადი ინგრედიენტი – კოფეინი და პოლიფენოლი დადებითად მოქმედებს მეხსიერებასა და კოგნიტურ ფუნქციებზე, რაც ხელს უწყობს ანთების შემცირებას და ტვინის უჯრედების განადგურების პროცესის შეჩერებას.

ვისკის კოსმოსში დააძველებენ

ბურბონ Mystic Galactic-ის ამერიკელმა მწარმოებელმა ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა – აპირებს, რომ დასაძველებლად, ვისკის პარტია კოსმოსში, ერთი წლით გააგზავნოს. ერთი ბოთლი ასეთი ვისკის ფასი 75 ათასი დოლარია და ის რომ კიდევ უფრო „იშვიათი და განსაკუთრებული“ გახდეს, სასმელს 200-ლიტრიანი მუხის კასრებით, დედამიწის მიღმა გაგზავნიან. ბრენდის – Mystic Farm მფლობელის თქმით, ასეთი კოსმოსური მისია საგულდაგულოდაა მოსამზადებელი, რადგან თუ კასრები გაიხსნება, ეს ხომალდზე კატასტროფას გამოიწვევს. აღსანიშნავია, რომ ბრენდი ვისკის 1000 ცალ ციფრულ ვერსიასაც გაყიდის და მათაც 75 ათას დოლარად. როცა ნამდვილი სასმელი დაბრუნდება დედამიწაზე, ტოკენების მფლობელებს ბოთლებს გადასცემენ. თუ კოსმოსურ მისიას რამე შეემთხვევა, თანხას უკან დააბრუნებენ.

სიჩუმე ტვინისთვის სასარგებლოა

სიჩუმეს შეუძლია, ხელი შეუწყოს ტვინის ახალი უჯრედების ზრდის სტიმულაციას, გააქტიუროს მეხსიერება და რეფლექსები, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ექსპერტები, რომელთაც მუსიკისა და სხვა ხმაურის გავლენა შეისწავლეს ადამიანზე. სწავლულთა თქმით, სიჩუმეში ტვინი უფრო ადვილად ამუშავებს მონაცემებს, „ახარისხებს“ მიღებულ ინფორმაციას, რაც ასტიმულირებს რეფლექსებს. იმის გამო, რომ ადამიანის ტვინი სხვადასხვა ხმაურის მიმართ აღქმადია, მუსიკის ჩართვისა და მოსმენის შემდეგ თუ მუსიკას გამორთავთ, მელოდია მაინც თავში იტრიალებს. მიზეზი ის არის, რომ თავის ტვინის ქერქი განაგრძობს მუშაობას და მელოდიის მოსმენის ილუზია იქმნება – ასე კი მეხსიერება აქტიურდება.

The Beatles ბოლო სიმღერას ჩაწერს

ლივერპულელი ოთხეულის წევრმა პოლ მაკარტნიმ, The Beatles-ს ახალი სიმღერის გამოსვლა დააანონსა. მისი თქმით, მუსიკოსები ხელოვნურ ინტელექტს გამოიყენებენ, რათა ძველი ჩანაწერებიდან ჯონ ლენონის ხმა „ამოიღონ“. დასახმარებლად მაკარტნიმ რეჟისორ პიტერ ჯექსონს მიმართა, რომელმაც ხელოვნური ინტელექტი დოკუმენტური ფილმისთვის Get Back გამოიყენა და ლენონის „სუფთა“ ხმა შექმნა. სიმღერის სახელწოდება ოფიციალურად არ გაცხადებულა, თუმცა დიდი ალბათობით, ეს 1978 წლის კომპოზიცია Now And Then იქნება. ის ჯგუფმა ჯონის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1980 წელს ჩაწერა.

ეკობოტასები ანანასისგან

ჰოლანდიურმა ბრენდმა Mercer Amsterdam, ბოტასები გამოუშვა, რომელსაც სრულიად სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ეკოლოგიურად სუფთა ფეხსაცმელი. ისინი ანანასის გადამუშავებული ფოთლებისგან დაამზადეს. ეგრეთ წოდებული, ვეგანური ბოტასები კომპანია Piñatex-თან ერთად შექმნეს, რომელიც გარემოსთვის უსაფრთხო, ნატურალური ტყავის ალტერნატიულ მასალას ანანასისგან ამზადებს, ხოლო ფოთლებს ფილიპინებზე, ადგილობრივი ფერმერებისგან ყიდულობენ. ანანასის მოსავლის აღებისას მას ყრიან, ამიტომ ნედლეულს არ სჭირდება დამატებითი ბუნებრივი რესურსები წარმოებისთვის. მცენარეული ბოჭკოები გადამუშავდება მიკროფიბრად, რომლისგანაც შემდგომში, ყოველგვარი ქიმიური დანამატების გარეშე, ფეხსაცმელი მზადდება. ბრენდის წარმომადგენელთა განცხადებით, ასეთი ბოტასები ნამდვილი აღმოჩენაა მცენარეული დიეტის მიმდევრებისთვის. ფეხსაცმლის ღირებულება 250 ევროა.

კონტრაცეპტივები ქალებში დეპრესიას იწვევენ

შვედი სწავლულები აცხადებენ, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მიღება სუსტი სქესის წარმომადგენლებში დეპრესიის განვითარების მაღალ რისკს (92%) უკავშირდება. მათში, რომლებიც კონტრაცეპტივებს მოზარდობის ასაკიდან იღებენ, დეპრესიის განვითარების რისკი 130%-ით იზრდება. მკვლევარებმა ეს დასკვნები 250 ათასი ქალის იმ მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დადეს, რომელიც UK Biobank-დან აიღეს. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ექიმებმა პაციენტები უნდა გააფრთხილონ ამ პრეპარატების შესაძლო გვერდთ მოვლენებზე. დღეისთვის, მსოფლიოში, დეპრესიით 264 მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება. ქალების 25%-სა და მამაკაცების 15%-ში ისეთ აშლილობებს ვხვდებით, რასაც მკურნალობა სჭირდება.

აპლიკაცია ქალებს უთვალთვალებს



საუდის არაბეთისთვის შექმნილი აპლიკაცია Absher, ადგილობრივ მამაკაცებს საშუალებას აძლევს, ქალს მგზავრობის ნება მისცეს, ან გაუუქმოს. ამ აპლიკაციის საშუალებით, კაცები მოკლე ტექსტურ შეტყობინებებსაც იღებენ, რომლებითაც იგებენ, ქალი საკუთარ პასპორტს იყენებსმ თუ რეგიონს ტოვებს. ქვეყანაში მოქმედი კანონების მიხედვით, სუსტი სქესის წარმომადგენელს უნდა ჰყავდეს მეურვე-მამაკაცი – მამის, ძმის, ქმრის, ან ბიძის სახით. მათ აქვთ უფლება, ქალის ნაცვლად გადაწყვიტონ ყველაფერი, მათ შორის, ქალბატონების მოგზაურობა, გათხოვება, სასწავლებლის ან საცხოვრებლის არჩევა. აპლიკაცია უკვე მილიონზე მეტმა მომხმარებელმა გადაიწერა, ადამიანის უფლებადამცველები კი მას მკაცრად აკრიტიკებენ.

ადამიანებს ბუდეებს უშენებს

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში მცხოვრები ხელოვანი ჯეისონ ფენი, ფრინველების მსგავსად, ბუდეებს აშენებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამას ადამიანებისთვის აკეთებს. ვისაც სურვილი აქვს, ფრინველების ცხოვრებას გაეცნოს და თან ბუნებით დატკბეს, შეუძლია, ჯეისონის ბუდეში შეძვრეს. ფენი ადგილობრივ ტყეში მოკრეფილი ტოტებისგან ბუდის ფორმის „დასასვენებელ კომპლექსს“ ქმნის, სადაც გარკვეული თანხის საფასურად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, სუფთა ჰაერზე, ჩრდილში დაისვენოს.

რასაკვირველია, „კომპლექსი“ ხმამაღალი ნათქვამია, რადგან ბუდეში დიდი კომფორტი არ დაგხვდებათ, იქ მხოლოდ ლეიბია გაშლილი. აქ დასვენება და ფრინველად „გადაქცევა“ კი მზიან ამინდში სჯობს, რადგან თუ წვიმა წამოვიდა, დასველებისგან ვერაფერი დაგიცავთ. ბუდე ერთდროულად, მხოლოდ რვა ადამიანს დაიტევს, სადაც ხის კიბის საშუალებით ავლენ. ჯეისონი ყველა ტოტს საგულდაგულოდ ამოწმებს და ბუდის ასაშენებლად, ადამიანების წონისთვის გამძლე, ძლიერ ტოტებს არჩევს.

შაკიკს მწვანე ფერი შველის?

თეთრი, წითელი და ლურჯი ფერებისგან განსხვავებით, შაკიკის დროს, მწვანე ფერი არ აძლიერებს თავის ტკივილს, პირიქით, ამცირებს კიდეც. ასეთ დასკვნამდე ამერიკელი სწავლულები მივიდნენ, ჰარვარდის სამედიცინო სკოლიდან. შაკიკის დროს, ადამიანებს შუქის მიმართ მომატებული მგრძნობელობაც აწუხებთ. ფოტოფობიის გამო, პაციენტები იძულებულნი არიან, ბნელ ოთახებში ჩაიკეტონ, ან მზის სათვალე ატარონ. მკვლევარები ამას თალამუსში ნეირონების ორი ტიპის პათოლოგიური აღრევით ხსნიან. შედეგად, შუქი აძლიერებს ტკივილს და მხედველობითი აღქმაც ძნელდება. სწავლულების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებისას, შაკიკით დავადებულ პაციენტებს ბნელ ოთახში ათავსებდნენ და თანდათანობით აძლიერებდნენ თეთრი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი და წითელი ფერების ინტენსივობას. აღმოჩნდა, რომ მწვანეს გარდა, სხვა ფერები ერთნაირად აძლიერებდა მტკივნეულ შეგრძნებებს, მწვანე კი – ასუსტებდა. მკვლევარები აპირებენ, ამ შედეგების მიხედვით, შაკიკიანი ადამიანებისთვის მზის სათვალე შექმნან, რომელიც მწვანეს გარდა, სხვა ყველანაირ შუქს გაფილტრავს.

მოცვი გულს იცავს

ლონდონის სამეფო კოლეჯის სწავლულების ახალი კვლევების მიხედვით, მოცვი საიმედო დამხმარეა გულსისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, 200 გრამი მოცვის მიღება აუმჯობესებს სისხლძარღვების მუშაობას და აქვეითებს სისხლის წნევას. ეს ყველაფერი ერთად, 20%-ით აქვეითებს გულის პრობლემების წარმოშობის რისკს. ასეთ დასკვნამდე სპეციალისტები, 40 ჯანმრთელ ადამიანზე დაკვირვებისას მივიდნენ. მათი თქმით, თავისი მოქმედებით, ეს კენკრა ისეთივე ეფექტიანი შეიძლება იყოს, როგორც ექიმის მეერ გამოწერილი წნევის დამწევი წამლები. მოცვის სასიკეთო გავლენა მის შემადგენლობაში არსებული ანტოციანებითაა განპირობებული. სწორედ ის აძლევს მოცვს დამახასიათებელ, ლურჯ შეფერილობას. ასე რომ, ისარგებლეთ სეზონით და გამოიყენეთ ეს სასარგებლო კენკრა ორგანიზმის გასაჯანსაღებლად.

სიმსივნის დამარცხებაში ბოლოკი დაიხმარეთ

დიეტოლოგები გვირჩევენ, გაზაფხული-ზაფხულის რაციონში აუცილებლად ჩავრთოთ ბოლოკი. ცოტამ თუ იცის, რომ ის სუპერპროდუქტის წოდებას იმსახურებს. ბოლოკი ყველაზე უფრო ნოყიერი ზაფხულშია, მაგრამ მასში ძალიან ცოტა კალორიებია. ეს ბოსტნეული დაგეხმარებათ ხველების დროს, რომელიც გაციებას ახლავს თან, გარდა ამისა, ბოლოკი ააქტიურებს იმუნიტეტსაც. ფიტოქიმიური ნაერთები, რომლებსაც ბოლოკი შეიცავს, ანტისიმსივნური თვისებებით გამოირჩევიან. მათში ბევრი „ცე“-ვიტამინი და ის ნივთიერებებია, მათ შორის, კალიუმიც, რომლებიც წნევას აქვეითებენ. იქიდან გამომდინარე, რომ ბოლოკი უჯრედისის დიდი შემცველობითაც გამოირჩევა, ის შეუცვლელი პროდუქტია დიაბეტიანებისა და კუჭ-ნაწლავის გართულებული ტრაქტის მქონე ადამიანებისთვისაც. სხვათა შორის, ბოლოკი კოსმეტიკურ საშუალებადაც შეიძლება გამოვიყენოთ, თუკი წვრილად დაჭრილს, ან გახეხილს სახეზე ნიღბად დავიდებთ. ასეთი ნიღაბი, „ცე“-ვიტამინის წყალობით, კანს აახალგაზრდავებს და ელასტიურს ხდის.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.